ყოველდღიური გაზეთი ფასი 7 კაპ. ოთხშაბათი, 9 გიორგობისთვე 1916 წ. № 250

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები არ დაუბრუნდებათ [illegible]. რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩა, № 4. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: [illegible] ... დამატებანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველდღიური პოლიტიკური, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

ყოველდღიური გაზეთი **საქართველო**

ხელისმოწერის ფასი: [illegible] 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. [illegible]

საზღვარგარეთ: წლიურად—10 მ. [illegible]

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

[illegible]

რედაქტორ-გამომცემელი [illegible]

[illegible]

## თამარ ლაზარის ასულის დაფქვიაშვილის

დაკრძალვა მოხდება დღეს, გიორგობისთვის 9-ს, კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე, წირვისა და წესის აგების შემდეგ. (1—236—1)

6 გიორგობისთვეს ქალაქ თბილისში თავის ბინაზედ მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აზნაური

## ალექსანდრე (საშა) ქრისტესიას ძე მამაცაშვილი

რასაც ნათესავთ და ნაცნობთ აუწყებენ ქვრივი მისი ხოფიო ლევანის ასული შვილებით, ძმები გარდაცვალებულისა შაქრო და გიგო მამაცაშვილები ოჯახითურთ, და მისივე ნინო იოსებ ცალქალამანიძის მეუღლე, სიდედრი მისი ხალომე ნასიძისა. დაკრძალვა მოხდება 10 გიორგობისთვეს სოფელ რუისის ფერისცვალების ეკლესიის გალავანში. თბილისიდან გასვენება მოხდება რკინის გზის სადგურზედ 10 საათის მატარებლისთვის 9 გიორგობისთვეს.

ახალ კლუბისათვის

## საჭიროა გამოცდილი ბუღალტერი

დაწვრილებით შეუძლიანთ გაიგონ კონტორაში დილით 11—2 საათამდე და საღამო ბით 8—12 საათამდე. (1—240—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, ტელეფონი 11—79)

ოთხშაბათს, 9 გიორგობისთვეს,

დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I **სოფლის ექიმი** დრამა 2 მოქ.

II **„მათიკო"** მესამე მოქმედება ა. ცაგარლისა

სტუმრები შემოდიან საზოგადო წესით. დასაწყისი საღამოს 9 ს.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. (1—241—1)

საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი. (102—წ.)

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში ხაუცხოვო ნამდვილი

## კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. (185—წ.)

ქ. თბილისში დაარსდა

## მელნის ქარხანა „ალაროდია"

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს, ალიზარინის ფერისას

[illegible]

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება

ადგილობრივ თუ გაგზავნით.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია". (თ.—228—თ.)




„ფრანციის" ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი" და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში" სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის" წინანდელი მწარმოებელი

(თ. 253) დიმიტრი უხ. ბიბიბერია და ნ. ბ. ქურთაშური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე / ჩაი / სადილები / ყავა / ვახშმები / ხაჭაპური / პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914" და „606"

შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

## კ. ი. ვვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

## სტუდენტები

(დახელოვნებული რეპეტიტორები)

ამზადებენ მსურველთ—ორსავე სქესისას ყველა საშუალო სასწავლებელთათვის. სპეციალურათ სასულიერო სემინარიებისთვის. ოლღას ქუჩა № 56. იკითხეთ 10—12 საათ. დილით. (6 385 2)

ექიმი-დოსტაქარი

## ვ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

## შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ბერელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. [illegible]

ყოველთვის ხელმისაწვდომ ფასად

## საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადაზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## დრამატიული საზოგადოება

ჩვენი დიდი უბედურება იმაშია, რომ ცოტა ადამიანი გვყავს და ბევრი საზოგადოება გვაქვს. რიცხვით ორ მილიონს ვაღწევთ, გიმნაზიები და უნივერსიტეტები სავსეა ქართველი ახალგაზდობით, მაგრამ საშუალო და უმაღლეს სწავლა-განათლებით აღჭურვილი ინტელიგენცია როგორღაც ანაზდეულად ჰქრება ჩვენს სამშობლოში, როგორც ნაკადული ქვიშიან უდაბნოში; საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე კი მხოლოდ ორიოდე პიროვნება რჩება. ეს ის განწირული ადამიანები არიან, რომელთაც ქართველი საზოგადო მოღვაწეები ჰქვიათ. ისინი მონაწილეობას იღებენ ყველა კულტურულ დაწესებულებაში წერა-კითხვის საზოგადოებიდან დაწყებული ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებამდე, კვირაში შვიდ სხდომას მაინც ესწრებიან, წელიწადში რამოდენიმე საქველმოქმედო დილას და რამოდენიმე სალიტერატურო საღამოს აწყობენ, უთვალავ საზეიმო და სამგლოვიარო სიტყვებს ამბობენ, ჩქარა ილაჯი უწყდებათ და არაქათი ელევათ, მხცოვანნი და დამსახურებულნი ხდებიან მეორმოცე წელში, შემდეგ მოულოდნელად გული უსკდებათ ან წვეთი ეცემათ და ბოლოს დიდის ზარითა და გლოვით ეგრეთ წოდებულ ქართველ მოღვაწეთა პანთეონში იმარხებიან. მათს ხსოვნას ხშირად დავიწყების წყვდიადი იცავს.

ძნელი წარმოსადგენია საზოგადოება, სადაც ადამიანი ისე სწრაფად იცვეთებოდეს და ისე უმნიშვნელო კვალს სტოვებდეს სიკვდილის შემდეგ, როგორც ჩვენში ხდება. ეს ალბად იმით აიხსნება, რომ ჩვენი საზოგადოება ადამიანს ყველაფრის ცოდნასა და ყველაფრის შემძლებლობას სთხოვს, თვითონ კი თითქმის არაფერს აძლევს სამაგიეროს. ეს გარემოება კი სავალალო დილეტანტობას ასაზრდოებს. დილეტანტობა ჩვენი თანამედროვე ეროვნული კულტურის უდიდესი ბოროტებაა და მასთან ბრძოლა უპირველეს ზნეობრივ მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს. ჩვეულებრივი მომაკვდავის ნიჭი და ძალღონე ყოველთვის განსაზღვრულია, მას მხოლოდ ერთ რომელიმე ვიწროდ შემოფარგლულ ასპარეზზე შეუძლია ნაყოფიერად მუშაობა. ჩვენში კი ყოველ ადამიანს ისე უცქერიან თითქო მრავალმხრივი გენიოსი იყოს ლეონარდო და ვინჩივით, ე. ი. მხატვარი, ხუროთმოძღვარი, მემუსიკე, ფილოსოფოსი, ინჟენერი, ლიტერატორი, სცენის დეკორატორი, იუბილეების მომწყობი და დასაფლავების მოწესრიგე. რასაკვირველია, ჩვენი საზოგადო მოღვაწეები ასეთ გადაჭარბებულ იმედებს ვერ ამართლებენ, ყოველ მხრივ მოზღვავებულ საქმიანობან ვერ ასდიან და ბოლოს უილაჯო და უნაყოფო მჭერმეტყველებას ეძლევიან.

კულტურული წინსვლა შრომის თანდათანობითს განაწილებაში მდგომარეობს. ჩვენი ეროვნული კულტურა ერთს ადგილზე გაიყინება, თუ ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ შევიგნეთ. უაზრობა იქნება კარგს ზეინკალს კარგი წალების კეთებაც მოვსთხოვოთ. ისეთივე უაზრობა იქნება, რომ ექიმს, ვექილს ან ჟურნალისტს, რომელიც დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე თავის ავადმყოფებისა, კლიენტებისა და მკითხველებისთვის ჰფიქრობს, მოვსთხოვოთ, რომ შემდეგ, შუაღამისას, დასვენების მაგიერ თეატრის აშენებასა, მსახიობების უზრუნველყოფისა და მხატვრული პიესების დადგმისთვის იფიქროს. ყოველ შემთხვევაში ხეირიანად ვერ იფიქრებს ამ საგნებისათვის. მისი მათდამი დამოკიდებულება არ იქნება ინტიმური, შინაგანი და მის საქმიანობას უეჭველად დილეტანტობის ელფერი ექნება.

ეს ნათლად სჩანს ჩვენი დრამატიული საზოგადოების მაგალითზე. ამ საზოგადოების გამგეობა შესდგება ადამიანებისაგან, რომელნიც უეჭველად მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენენ თავიანთ სპეციალურ სფეროში. ამას გარდა თვითეული მათგანი შეგნებული და გულწრფელი მამულიშვილი უნდა იყოს. ამისდამიუხედავად ჩვენი სათეატრო ხელოვნება მეტისმეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება და, თუ არ ვსცდებით, გამგეობის მოქმედობა თუ უმოქმედობა უკმაყოფილებას უნდა იწვევდეს ფართო წრეებში.

ჩვენ არ ვეკუთვნით იმათ რიცხვს, ვისაც ჰგონია, რომ ქართული თეატრის საქმე ერთბაშათ გამოკეთდება თუ დრამატიული საზოგადოების ძველ გამგეობას გადავაყენებთ და მის ადგილზე ახალს ავირჩევთ. ჩვენ სისტემის წინააღმდეგი ვართ და არა ადამიანების. ძველი გამგეობის შესახებ ბევრი კარგი გვსმენია და ბევრი ცუდი. გულწრფელად გვწადიან კარგი დავიჯეროთ, ცუდი კი გაუგებრობის ნაყოფათ ვაღიაროთ. მიტომ, რომ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, სხვებიც მათზე მეტს ვერაფერს გააკეთებენ თუ თვით ქართული თეატრის გაძღოლის წესი არ შეიცვალა.

არ გვგონია, რომ სადმე დედამიწის ზურგზე არსებობდეს თეატრი, რომელსაც საგანგებოდ მიჩენილი გამგე, ანუ დირექტორი არ ჰყავდეს. ამ გამგეს მთავრობა ნიშნავს თუ თეატრი სახელმწიფოა, კერძო ადამიანი—თუ ის კერძოა, გამგეობა—თუ ის საზოგადოა. არსად არ გაგონილა, რომ ერთს სცენას ათი დირექტორი ჰყავდეს ქართულ თეატრივით მიტომ, რომ უკვე ნაცადია, როცა ერთსა და იმავე საქმეს რამოდენიმე კაცი აკეთებს, უმეტეს შემთხვევაში ვერც ერთი ვერ საქმიანობას ხეირიანად: ალბათხელს უშლის ერთმანეთის იმედი, ან ერთმანეთის ჯიბრი.

ქართული თეატრის საქმე არაჩვეულებრივად გართულდა ბოლო დროს. გაიზარდა მისი ნივთიერი საშუალებებიც. ასეთ თეატრს საგანგებოთ დაქირავებული ადამიანი უნდა წინამძღვრობდეს, რომელსაც გამგეობა აირჩევს, კონტროლის ქვეშ იყოლიებს და, თუ უვარგისი ან შეუფერებელი აღმოჩნდა, გადააყენებს. დრამატიული საზოგადოების გამგეობა შეიძლება, რასაკვირველია, დილეტანტებისა ან ხელოვნების მოყვარულებისაგან შესდგებოდეს. მაგრამ თეატრის დირექტორი უსათუოთ საქმის მცოდნედ უნდა იყოს. თავისუფალი უნდა იყოს სხვა ვალდებულებისაგან და შეძლება ჰქონდეს მთელი დღე თავისთავთან და თავის თეატრთან დარჩეს. მისთვის, რასაკვირველია, საჭიროა ტატნობის სიფართოვე და ესთეტიური გემოვნებაც, მაგრამ კიდევ უფრო საჭიროა ადმინისტრატიული ნიჭი და საქმიანობის უნარიც. შრომისთვის შესაფერი გასამრჯელოც უნდა ეძლეოდეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ყოველი ნაყოფიერი შრომა დაფასებული უნდა იქმნას თუ გვსურს თავი დავახწიოთ უძლურ ენაწყლიანობას, რომელმაც ლამის წალეკოს ჩვენი კულტურული დაწესებულებანი.

ვ. ლელიანი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მდ. ჟიუს ნაპირებით რუმინელები სამხრეთით იხევენ. მთავარ შტაბის ოფიციალი დეპეშა არას ამბობს იმის შესახებ, თუ დანამდვილებით რომელ ალაგას სწარმოებს ბრძოლა ან და რომელ სიმაგრეების დატოვება მოუხდათ რუმინელებს. მართალია ისიც, რომ მდ. ჟიუ რუმინეთის ბრძოლის ასპარეზისათვის მაინც და მაინც დიდი და მთავარი მიმართულება არ არის; აქ მოპირდაპირეს პირისპირ შეჯახება უხდება რუმინელებთან, იგინი ვერც მაგრე რიგად სტრატეგიულ ღრმა შემოვლას მოახერხებენ, ვინაიდან ჯერ-ჯერობით პრედეალის, ალიუტას და კიმპოლუნგის ბრძოლის ხაზი ისევ რუმინელების ხელშია. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მდ. ჟიუზე გამარჯვებას მარტო ტაქტიკური მნიშვნელობა როდი აქვს. მდ. ჟიუზე წამოსული მოპირდაპირე უპირველესად ორშოვის საკითხსა სწყვეტს. ყოვლად შეუძლებელია რუმინელებმა არ მიატოვონ როგორც ეს ქალაქი, ისე ჟელეზნია ვოროტა და, მასთანავე, ის რკინის გზა, რომელიც ავსტრიიდან ორშოვით მოდის და კრაიოს უერთდება. ამ ალაგების დაპყრობით გერმანელები უკვე ვლახეთის ველის დასავლეთ ნაწილში დამკვიდრდებიან. როგორც მდ. დუნაით, აგრეთვე ორშოვის რკინის გზით მოპირდაპირეს საშუალება ეძლევა ჯარები ადვილად მიიშველიოს. მასთანვე ჯარების სტრატეგიულად გაშლას უფრო ადვილად მოახერხებს. გენ. ფალკენჰაინი, უეჭველია, ერთი მხრივ ალიუტა - კიმპოლუნგ-პრედეალის ბრძოლის ხაზს ზურგიდან დაუწყებს მუქარას, მეორე მხრივ კიდევ, რაკი სამხრეთითაც მას გზა გაეხსნება, მთელ იმ რუმინეთის ჯარს, რომელიც მდ. დუნაიზეა დაბანაკებული, განსაცდელში ჩააყენებს. რუმინეთის გასაჭირი, ჩვენის აზრით, უფრო ახლა იწყება სანამ გერმანელები და ავსტრიელები მთებში იყვნენ და იბრძოდნენ, მათი მოქმედება მაგრერიგათ ინტენსიურად ვერ მიმდინარეობდა. არც გზები და არც საზოგადოთ ბრძოლის მიდამოები ხელს არ უწყობდნენ მოპირდაპირეს ჯარები შესაფერისად გამოეყენებინა და მიტომაც იძულებული იყო მეტად მძიმე ნაბიჯით განევითარებინა ოპერაცია. მდ. დუნაი და ალპები ერთგვარ ზღუდეს წარმოადგენდა და სანამ იგი რუმინელების ხელში იყო, ადვილადაც უმკლავდებოდნენ გენ. ფალკენჰაინს. სულ სხვაა ახლა. ბრძოლის პირობები არსებითად შეიცვალა და ჩვენცა გვგონია, ოპერაციაც სულ სხვა სახეს მიიღებს.

სატახტო გაზეთების ცნობით, პრედეალის მიმართულებით გერმანელებს 250 ბატალიონი მოუგროვებიათ. გენ. ფალკენჰაინს განზრახვა აქვს სწორედ ამ მიმართულებით გაარღვიოს ხაზიო, ამბობენ გაზეთები, და მოკლე გზით დაეშოს ბუქარესტისაკენო. თუ ეს ცნობა მართალია და, რომ მართალიც გამოდგეს არ გაგვიკვირდება, რადგან ჯერ ოპერაციის დასაწყისშივე ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ მიმართულებას მივაქციეთ, მაშინ რუმინეთის მდგომარეობა უფრო და უფრო გართულდება. თუ დღეს-დღეობით ჟიუს მიმართულებით რუმინელები შედარებით მცირე ძალებით აკავებდნენ გერმანელებს, დღეის შემდეგ მათ უთოოდ ჯარების მოშველება დასჭირდებათ. ცხადია ან კიმპოლუნ-ალიუტა-პრედეალის ხაზი უნდა შეასუსტონ, ან და დობრუჯის და დუნაისა. ერთსაც და მეორესაც ორი გერმანელი სარდალი მრავალ რიცხოვანი ჯარებით სდარაჯობენ. რაკი დროს იხელთებენ, უეჭველია, ბრძოლის ხაზის გარღვევასაც შეეცდებიან. მდგომარეობა, რასაკვირველია, არსებითაც გამოკეთდება, თუ რუსეთის სამხედრო შტაბი დროზე მიაშველებს რუმინელებს თავის ჯარებს.

დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

X.

# ომის დეპეშები

8 გიორგობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლა და ზვერვაა.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი არაფერი მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.** ტრანსილვანია. კიმპოლუნგის მიდამოებში დრაგოსლავლის სამხრეთით გერმანელების შემოტევა უნაყოფოდ დარჩა. ალბეშტის მიდამოებში რუმინელებმა ჩრდილოეთისაკენ წაიწიეს, ხელთ იგდეს 100 ტყვე, 2 ტყვიისმფრქვეველი და 1 ზარბაზანი. მოპირდაპირემ იერიშები მიიტანა ალიუტის მიმართულებით დერბანეშტისა და ბრესოს მიდამოებში, მაგრამ სროლით შეაჩერეს. მდ. ჟიუს ველში მტრის ძლიერი ჯარის შეტევის გამო რუმინელები კვლავ სამხრეთისაკენ დახევას განაგრძობენ.

დუნაის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** პუანკარემ სერბეთის ბატონიშვილ ალექსანდრეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: მხურვალედ მოგილოცავთ თქვენო უმაღლესობავ, მოკავშირეებთან ერთად მონასტირის აღებას, რითაც ძლევამოსილათ შესდგით ფეხი სამშობლო ქვეყნის განთავისუფლებულ კუთხეში.

**ლონდონი.** საიდუმლო საბჭოს განკარგულებით ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს უფლება ეძლევა მესაკუთრეებს ჩამოართვას სანოვაგე და მთავრობას გადასცეს, შევიდეს სავაჭრო დაწესებულებაში და სანოვაგე ააწერინოს. ამ წესების დამრღვევი დაჯარიმდება 100 გირვანქა სტერლინგით (1500 მან.) და დატუსაღებით, აგრეთვე ექვსი თვის სავალდებულო მუშაობით.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. მეტად ცხარე ბრძოლა იყო ზარბაზნებით დუომონის სიმაგრესთან.

**ლონდონი.** საფრანგეთის ასპარეზზე ინგლისის 5 საფრენი გერმანელების 8 საფრენს შეება და ერთი საფრენი გაუნადგურა. გერმანელების 7 საფრენი ძირს დაეშო. ინგლისელების 3 საფრენი აღარ დაბრუნებულა.

**სტოკჰოლმი.** ვენიდან ოფიც. ცნობაა: იმპერატორ ფრანც-იოსებს ციება დააწყებინა, სიცხე 38 გრადუსი აქვს.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. ბალკანეთის ასპარეზი. მდ. ცრიან პრესპის ტბამდე 28 ღვინობისთვეს დაწყებული ბრძოლა 6 გიორგობისთვეს მოკავშირეთა სტრატეგიული ხერხით მონასტირის მიდამოების დამცველი გერმანელ-ბულგარელები მოემწყვდნენ. მოკავშირეებმა აიღეს ერუნიშა ცრნის აღმოსავლეთით. 6 გიორგობისთვეს სერბიელებმა აიღეს მაღლობი „1378“. იმავე დღეს დემბრემირის მიმართულებით მათ აიღეს ბევრი სანგრები ბულგარელებისა. ამ მარჯვე მოქმედების წყალობით გერმანელ-ბულგარელები იძულებული გახდნენ მონასტირის სანგრები დაეტოვებინათ. დილის ცხრის ნახევარზე ფრანგების ცხენოსანი ჯარი ფეხდა-ფეხ სდევნიდა მოპირდაპირეს და ქალაქ მონასტირში შეიჭრა. მათ მიჰყვა რუსფრანგთა ჯარი. იმავე დღეს რუსფრანგთა ჯარმა მონასტირის ჩრდილოეთით აიღო მაღლობი „821“ და სოფ. პერკლინი, მიუახლოვდა ყარამენსა და ორიკანს და მყის იერიში მიიტანა. მოპირდაპირის დევნა შეუჩერებლად გრძელდება. ხელთ ვიგდეთ 622 ტყვე და დიდძალი სამხედრო მასალა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## პოლონეთის სამეფო

### რუსეთის პროტესტი.

რუსეთის მთავრობამ უცხოეთის სახელმწიფოებში მყოფ დიპლომატიურ წარმომადგენლებს დაუგზავნა შემდეგი მიწერილობა, რომელიც სახელმწიფოთა მთავრობათ წარედგინებათ:

„ჩემის მთავრობის დავალებით პატივი მაქვს თქვენს აღმატებულებას ვაუწყო შემდეგი: საერთაშორისო უფლების მიუხედავად, გერმანეთისა და ავსტრია-უნგრეთის სამხედრო მთავრობამ ვარშავასა და ლიუბლინში გამოაცხადეს, რომ რუსეთის პოლონეთის გუბერნიები დღეის შემდეგ ცალკე სახელმწიფოს შეადგენენო.

რუსეთის იმპერატორის მთავრობა პროტესტს აცხადებს ამ აქტის წინააღმდეგ, რომელიც ახალი შებღალვაა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და აცხადებს, რომ პოლონეთის სამეფოს გუბერნიები უწინდებურად შეადგენს რუსეთის იმპერიის ნაწილს, მისი მკვიდრნი რუსეთთან შეკავშირებულნი არიან ერთგულების ფიცით, რომელიც მისცეს მათ მის იმპერატორებითს უდიდებულესობას, ჩემს უავგუსტოეს თვითმპყრობელს“.

## ნორვეგია და გერმანია

როგორც ვიცით ნორვეგიის მთავრობამ მეომარ სახელმწიფოებს აუკრძალა წყალქვეშა ნავების თარეში ნორვეგიის სამფლობელოში. ამან განსაკუთრებით გერმანეთი გააბრაზა და ნორვეგიას პასუხი მოსთხოვა ასეთი განკარგულებისათვის. ნორვეგიის პასუხი ცოტა დაგვიანდა, რადგანაც იგი უნდა მოელაპარაკებოდა შვეციას და დანიას. პასუხის მოლოდინში გერმანეთმა თითქოს განგებ გააშირა წყალქვეშა ნავებით ნორვეგიის გემების ძირვა და ნორვეგიის წყლებში, წყალქვეშათა გარდა, გაჰგზავნა „ცეპელინები“ და ნაღმოსნების გამანადგურებელი გემებიც შეიძლება ითქვას, რომ ნორვეგიამ გერმანეთის გატენილ ზარბაზნის ტუჩის წინ შეამუშავა პასუხი გერმანეთის შეკითხვისა. ჯერ არ გამოუქვეყნებიათ ამ პასუხის შინაარსი, მაგრამ ბერლინის გაზეთების კილოზე ეტყობა, რომ გერმანელები ვერ დაუკმაყოფილებია ამ პასუხს. ამის თაობაზე ოფიციალი გაზეთი „ლოკალ ანცეიგერ“-ი სწერს: „თუ ნორვეგია სამხედრო წყალქვეშა ნავების თაობაზე თავისას არ დაიშლის, გერმანეთი ნორვეგიის ასეთ განკარგულებას უკანონობად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში ნორვეგია მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება, ე. ი. გერმანეთ-ნორვეგიის შორის რაიმე დიპლომატიური მოლაპარაკება უაზროდ იქნება“.

ამავე საგანზე „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: „ნორვეგიის პასუხმა სამხედრო წყალქვეშათა თაობაზე შესაძლებელია მოსახერხებელი გაჰხადოს მოლაპარაკების გაგრძელება. თუ ეს არ მოხდა, მაშინ გერმანეთი ანგარიშს არ გაუწევს ნორვეგიის განკარგულებას წყალქვეშათა შესახებ და ეს კი, ცხადია, გერმანეთ-ნორვეგიის შორის დამოკიდებულების გაწყვეტას მოასწავებს“.

ასეთი მდგომარეობის გამო „რუსკ. ინვალ.“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: თუ საქმე გამწვავდა, გერმანეთი იმაზე მეტს რას უზამს ნორვეგიას, რაც უყო პასუხის მოლოდინში—გემების დაღუპვის გარდა ხომ ვერაფერს დააკლებს. მას არ შეუძლიან მის მიწაწყალზე ხმელეთის ჯარი აამოქმედოს, მხოლოდ ზღვის მხრივ თუ შეუძლიან ვნება მიაყენოს. მაგრამ, თუ კი ნორვეგია გერმანეთთან ომში ჩაებმება, მას ხომ მოკავშირეთა ფლოტი გამოესარჩლება და გერმანელების მოგერიებას გაუადვილებსო. ვნახოთ, დაკმაყოფილდება თუ არა გერმანეთის მთავრობა ნორვეგიის პასუხით, თუ ტერორის საშუალებით კვლავ შეეცდება თავისი დიდი ხნის აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანოსო.

—

ქრისტიანიიდან „Nationaltidende“-ს დეპეშით ატყობინებენ 2 გიორგობისთვის თარიღით: ორშაბათს ნორვეგიის ნაღმოსანი შეჰხვდა გერმანელების გემს ნორვეგიის წყლებში. გემზე უმავთულო ტელეგრაფის აპარატი შეამჩნია და მოსთხოვა, მოეხსნათ. გერმანელების გემმა მხოლოდ მას მერე მოხსნა აპარატი, როდესაც ნორვეგიის გემმა გასაფრთხილებლად ესროლა. ყუმბარამ გემის ანძებს შუა გაიარა.

## საბერძნეთი

**მეფე კონსტანტინე და ვენიზელოსი.**

ათინიდან იტყობინებიან: ხმა დადის, რომ მეფე კონსტანტინე და ვენიზელოსი შესაძლებელია კვლავ დაუახლოვდნენ ერთმანეთსაო. „ბ. ვ.“-ის ათინელი თანამშრომელი ამის თაობაზე სწერს: ასეთი შეთანხმება რომ შესაძლებელია იქიდანაცა სჩანს, რომ ამ ბოლო დროს გერმანელების მოტრფიალე ეროვნული გაზეთები თავგამოდებით და ცხარედ ამხედრდნენ, რომ როგორმე ხელი შეუშალონ პატრიოტთა დაახლოვებას მეფესთან.

დამოუკიდებელთა გაზეთი „Athanai“ იტყობინება: მეფე კონსტანტინე კორფუს კუნძულზე აპირებს გამგზავრებასაო.

**გრაფ მირბახის განცხადება.**

ათინაში მყოფ გერმანეთის დესპანს გრაფ მირბახს საბერძნეთის მთავრობისათვის წარუდგენია ულტიმატუმი, რათა მოკავშირეებს არავითარი იარაღი ან სამხედრო მასალა არ დაანებოს, სანამ შესაფერ დასტურს არ მიიღებს გერმანეთის მთავრობისაგან.

ამბობენ ასეთი ნაბიჯი ათინაში მომქმედ გერმანელების გავლენით გადადგა. მათის აზრით, შეიძლება საბერძნეთი ასეთი მუქარის შემდეგ გამაგრდეს და მოკავშირეთა ნებას აღარ დაჰყვესო.

**მოკავშირეთა შეთანხმება მეფე კონსტანტინესთან.**

ათინიდან იტყობინებიან, თუ რა პირობებით შეთანხმდნენ მეფე კონსტანტინე და მოკავშირე სახელმწიფონი. ამ შეთანხმებით, ანუ როგორც კორესპონდენტი სწერს, დროებით ზავით, მოკავშირენი პირობას იძლევიან, რომ საბერძნეთის სამეფო გვარეულობას შეუნარჩუნებენ ტახტს და საბერძნეთს მის სახელმწიფო ფარგლებში კვლავ აღადგენენ.

მოკავშირენი მოვალეობად ითვლიან, რომ საბერძნეთს ძალა არ დაატანონ ნეიტრალობის დასარღვევად და მას უფლებას უტოვებენ ნეიტრალობის პოლიტიკა განაგრძოს.

მეფე კონსტანტინე თანახმაა მოკავშირეებს ხელი არ შეუშალოს სამხედრო მოქმედებაში, მოკავშირეთა ჯარის უზრუნველსაყოფად, რომელიც მაკედონიაში მოქმედებს. მეფემ შესაძლებლად მიიჩნია განთავისუფლოს ეროვნულ მოძრაობის მომხრე დატუსაღებული აფიცრები, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგ ნი სამხედრო სამსახურიდან გამოვიდნენ.

ამავე დროს მოკავშირეებმა აღუთქვეს ამ აფიცრებს: ომის გათავების შემდეგ კვლავ მიგაღებინებთ საბერძნეთის ჯარში ძველის ჩინითაო.

## ოსმალეთის ჯარი

მადიარული გაზეთი „ვილაგ“-ი იტყობინება: მცირე აზიიდან და დარდანელიდან რუსეთის ასპარეზზე მოსული ოსმალეთის ჯარი შესდგება 18—32 წლის მეომართაგანაო.

## ირლანდიაში

დუბლინიდან იტყობინებიან: მოსალოდნელია, რომ ირლანდიაში საყოველთაო ამნისტია გამოაცხადონ და სამხედრო წესებიც მოხსნანო. ეს ნიშანია ინგლისის მთავრობის პოლიტიკის შეცვლისა ირლანდიაში.

## უნგრეთის სტატისტიკა

უნგრეთის სასტატისტიკო ბიუროს ცნობით, წარსულ მარიამობისთვეში უნგრეთში დაბადებულა 26 ათას 676 სული, გარდაცვლილა 34 ათას 881 სული. დაბადებულთა რაოდენობა ერთი თვის განმავლობაში 5205 სულით ნაკლებია გარდაცვალებულთა რაოდენობაზე.

## ახალი ზარბაზნები

**ინგლისური ზარბაზანი.**

ჟურნალ „Army and Navy Journal“-ში მოთავსებული ცნობებით, ინგლისელები, თურმე, დიდი ყალიბის ახალ ზარბაზანს ამზადებენ. ეს ზარბაზანი 18 დიუმიანი ყალიბისა იქნება. მისი ყუმბარა აიწონს 82 ნახევარ ფუთს და თითქმის 38 ვერსზე დაჰკრავს. ზოგის აზრით ამ ზარბაზნებს ხმელეთზე იხმარენ მოპირდაპირის ციხე-სიმაგრეების დასანგრევად. მეორეთა აზრით კი თითო ასეთ ზარბაზანს მონიტორის ტიპის გემებზე დასდგამენ მტრის სანაპირო სიმაგრეების გასანადგურებლად.

**ამერიკული ზარბაზანი.**

ჟურ. „Scientific American“-ი აგვიწერს შეერთებულ შტატებში გამოგონილ ახალ ზარბაზანს, რომელიც 16 დიუმიანი ყალიბისა ყოფილა. ეს ზარბაზნები ზღვის სანაპიროების სიმაგრეებისათვის არის განზრახული და აგრეთვე ახალ სამხედრო გემებისათვისაც. ეს ზარბაზანი სიგრძით 60 ფუტია (რვა საჟენ ნახევარზე მეტი) მისი ყუმბარა თითქმის 58 ფუთამდე იწონს. ამას წინად სცადეს ეს ზარბაზანი. კარგ მანძილზე ხის მორებზე მიამაგრეს 13 დუიმის სისქე კრუპის ჯავშნის ფიცარი, ხოლო მის უკან 7 საჟენის სიგრძეზე ქვიშის გორა იყო. ყუმბარამ გახვრიტა ჯავშნის ფიცარა, გაიარა ქვიშაში და მის უკან ერთი შენობის კედლები გახვრიტა და მიწაში წავიდა.

ამერიკელების 14 დიუმიანი ზარბაზანი 38 ნახ. ფუთიან ყუმბარას ისვრის და თანამედროვე გემის ჯავშნიან გვერდს 13 ვერსის მანძილზე ჰხვრეტს. ამის მიხედვით ვარაუდობენ, რომ ახალი ზარბაზნის ყუმბარა ასეთ ჯავშნიან გემს 15 ვერსზედაც თავისუფლად გაჰხვრეტსო.

## პოლონეთის სამეფო

ამსტერდამიდან „ნ. ვ.“-ს ატყობინებენ: ვარშავის გერმანელმა გენერალ-გუბერნატორმა დეკრეტი გამოაქვეყნა, რომლის ძალითაც პოლონეთის ოლქებმა და ქალაქის თვითმართველობათ უნდა აირჩიონ 70 წარმომადგენელი, ხოლო ესენი თავიანთ შორის 8 წევრს აირჩევენ სახელმწიფო საბჭოში. გენერალ გუბერნატორი თავისი მხრივ 4 წევრს დაჰნიშნავს. საბჭოს თავმჯდომარედ თვითონ გენერალ-გუბერნატორი იქნება. კრებები პოლონურად იწარმოებს.

## წყალქვეშა „დოიჩლანდი“

ნიუ-იორკიდან იტყობინებიან: სავაჭრო წყალქვეშა „დოიჩლანდი“ უკვე დაიტვირთა 22320 ფუთ ნიკელით, 10800 ფუთ რეზინით და ზოგიერთ სხვა მასალებით. წყალქვეშა გამოსამგზავრებლად მზათაა.

## ვილსონი თუ ჰიუზი.

დღევანდლამდის საბოლოოდ ვერ გამოირკვა, შეერთებულ შტატების პრეზიდენტად ვინ აირჩიეს ვილსონი თუ ჰიუზი. რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში უკანასკნელად მიღებულის ცნობებით ვილსონს მიუღია 269 ხმა, ჰიუზს კი 262. რადგანაც ასეთი მცირე განსხვავებაა, ჰიუზის მომხრე რესპუბლიკანელები მოითხოვენ არჩევნების დაწვრილებით შემოწმებას ხმების დათვლით. ამ საქმეს თვე ნახევარი მაინც მოუნდება. ასე, რომ ჯერ-ჯერობით არავინ იცის, 1917 წ. 4 მარტიდან ვინ დაბინავდება ვაშინგტონის თეთრ სასახლეში—ვილსონი თუ ჰიუზი.

# უკანასკნელი ცნობები

მენშიკოვი „ნოვ. ვრ.“-ში აცხადებს, დეპუტატთა სიტყვების და სათათბიროში მომხდარ კამათის გაუმჟღავნებლობის გამო ისეთი გარემოება შეიქმნა, თითქოს რაღაც არაჩვეულებრივი რამ მომხდარიყოს. მოხდა კი ის, რასაც ჩვენ ყოველდღე ვხედავთ და გვესმის. ჩვენში ჰფარავენ არა თუ ტეხნიკურ საიდუმლოებებს, არამედ ისეთს ბოროტებას, რომლის გამომჟღავნება სამეფოს სახამართლოს პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს. მოწინააღმდეგემ გვიპოვნა დრო და თავს დაგვეცა მოუმზადებლებს და ეს მოუმზადებლობა რით იყო გამაგრებული, თუ არა ძალმომრეობით, შებოჭვილ პრესით და საზოგადოებით? ომი სულ სხვა ხასიათს მიიღებდა, რომ თავის დროზე შუქი მოჰფენოდა ყველა ბნელ კუთხეებს, სადაც დაბანაკებული ყოფილა სამსახურის გულგრილობა და საკარიერო ინტრიგა. შედეგად მივიღეთ ლალატი ტახტისა და სამშობლოისა. პრაქტიკულად რომ ვიმსჯელოთ, რა არის დღეს ჩვენთვის საჭირო? უპირველესად უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ გერმანელებს ჩვენ ტყვედ არ ვუყვართ. მაშასადამე, ნაადრევია, რომ ჩვენ თვითონ გავიყაროთ ხელფეხში ბორკილები და თუ ჩვენ მართლა თავისუფალნი და დამოუკიდებელნი ვართ, მივანიჭოთ ჩვენს თავს ამ შავ დღეში და უკიდურეს გაჭირვების წინაშე მდგომთ თავისუფლება სულისა და სიტყვისა!

—

პროტოპოპოვმა მოითხოვა ყველა საბუთები, რაც კი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების კანონპროექტს შეეხებაო.

—

რუსეთის გაზეთების ცნობით, ავსტრიას ჰყოლია $7^{1}/_{2}$ მილიონი ჯარი, აქედან 4 მილიონი მოკლული, დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი ყოფილა.

—

მომქმედ არმიიდან იუწყებიან: მოწინააღმდეგე შერეულ ჯარს უშვებს და ისეთს შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს მრავალი ლაშქარი ჰყავდეს და სხვა და სხვა კორპუსები იბრძოდესო.

—

ლონდონში ამ მოკლე ხანში გამოიცემა განკარგულება პურის დასაზოგველად. საზღვაო ტრანსპორტში უკვე სიმინდნარევ პურსა ხმარობენ.

# დეპეშა

(საკ. კორესპოდენტისაგან)

**ოზურგეთი.** 7 გიორგობისთვეს დილის 10 საათზე შუაგულ ბაზარში ყაჩაღმა ლომინაძემ მოჰკლა დარაჯთა უფროსი მარგველაშვილი. ავაზაკი ვერ შეიპყრეს. მცხოვრებნი აღშფოთებულნი არიან. დაწვრილებით წერილით.

# ახალი ამბავი

### სასახლეში

◆ მეფის ნაცვლის მოადგილემ, ინფ. გენ. ნ. ნ. იანუშკევიჩმა შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო მეფის ნაცვლის დიდ მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისაგან იმ მისალოც დეპეშაზე, რომელიც გენ. იანუშკევიჩმა გაუგზავნა 6 გიორგობისთვეს მეფის ნაცვალს მათ უმაღლესობის დაბადების დღეს.

„კავკასიის სამეფისნაცვლოს მცხოვრებთა, ადმინისტრაციის და საზოგადო დაწესებულებათა მილოცვით უზომოდ მოხარული ვარ. გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულითადი მადლობა ყველას.

გენერალ ადიუტანტი ნიკოლოზ“.

### ქართული დაწესებულებანი.

◆ **ლტოლვილთა მოძრაობის აღწერა.** მათის უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტმა [illegible] ქართ. საქვ. საზ. მთავარი გამგეობა, რომ შთამომავლობისათვის ისტორიის შესადგენად დიდ საგანძურს შეადგენს ლტოლვილთა მოძრაობის აღწერა. ამ მიზნით კომიტეტი შეუდგა შეგროვებას ყველა იმ მასალისას, რომელიც ამ მოძრაობას შეეხება, სახელდობრ, როგორც ლტოლთა, ისე მათის ლტოლვის მოწამეთა ნაამბობი მათ მოგზაურობაზე, დროებით კერის მოწყობასა და შემდეგ ყოფა-ცხოვრებაზე. ამისათვის კომიტეტი სთხოვს ქ. საქვ. საზ. გამგეობას, მიაწოდოს ყველა ეს მასალა. მასალად კი ყველაფერია გამოსადეგიო, სწერს კომიტეტი: ფოტოგრაფიული სურათები, მოგონებანი, მოთხრობანი, ესკიზები, ბელეტრისტიულ თუ სხვა გვარ სახით, სულ ერთია. ეს წერილები ავტორებმა თავის ხელმოწერილი უნდა გამოუგზავნონ გამგეობას, ადრესითურთ.

◆ **ოზურგეთის რაიონ განყოფილებას** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ მოსთხოვა, გაიგოს საქმის ნამდვილი მდგომარეობა აქ-ს სკოლის უმწეო მდგომარეობის შესახებ, რასაც სკოლის გამგე იტყობინებაო, და დაწვრილებით გვაცნობეთო.

◆ **ახალი სკოლები.** როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბრძანება გაუგზავნა სოხუმის სახალხო სკოლების ინსპექტორს, რომ დაუყოვნებლივ ნება დართოს ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას დააარსოს თითო ქართული სკოლა გუდაუთსა და გალში (სამურზაყანოში). როგორც ვიცით, ბ-ნი ინსპექტორი ერთობ აჭიანურებდა ნებართვის მიცემას და ამის გამო საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა მზრუნველს მიმართა თხოვნით.

◆ **წერა-კითხვის გამავრცელებელი** საზოგადოების მთავარი გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც საზოგადოების წიგნები აქვს წაღებული ახალ წევრების ჩასაწერად, ეს წიგნები 1 კვირის განმავლობაში დაუბრუნონ მას, რადგან გამგეობამ საზოგადოების წევრთა რაოდენობის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს საზოგადო კრებას.

◆ **საქველმ. მიზნით** თბ. გუბერნატორმა ნება დართო თბ. გუბერნიის თავად აზნაურთა საქალებო გიმნაზიასთან არსებულ საზოგადოების საბჭოს თავჯდომარეს ს. ი. ბაქრაძეს 7 ქრისტეშობისთვეს საარტისტო საზ. თეატრში წარმოდგენა გამართოს ამ წრის სასარგებლოდ.

◆ **ლტოლვილთა დახმარება.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ ლტოლვილთა საქმის მომწყობ მთავარწმუნებულის გენ. თამამშევს ვრცელი წერილი გაუგზავნა. გამგეობა აცნობებს, რომ ახალციხის მაზრაში ითვლება 600 სული ლტოლვილი: 400 მოზრდილი და 200 ბავში და არტაანის ოლქში 800 სული: 500 მოზრდილი და 300 ბავშვი. ამ ლტოლვილთა შესანახად გამგეობა სთხოვს გენ. თამამშევს პირველ იანვრამდე 14200 მანეთს.

### ქალაქის დაწესებულებანი.

◆ ქალაქის გამგეობა ომის დაწყებამდე დახარჯულ წყლის რაოდენობის საზომის ნაწილებს გერმანიიდან იბარებდა და საზომების შეკეთება ადვილი იყო. ახლა საქმე გასჭირდა: რუსეთში აღნიშნული მასალები არსად კეთდება და საზღვარ-გარეთიდანაც შემოტანა შეუძლებელია. ამის გამო ქალაქის თვითმართველობის წყალსადენის განყოფილება ცდილობს, როგორმე ადგილობრივ დაამზადოს წყლის საზომის ნაწილები.

◆ ქალაქის გამგეობამ დაამზადა ყოველგვარი მასალები ქალაქთან საბურთალოს შემოერთების შესახებ. ამ მასალებში საბურთალოელების მიერ ხელმოწერილი ქაღალდიც არის, რომლითაც ისინი თავიანთ სურვილს აცხადებენ, რომ მათი უბანი შეუერთდეს ქალაქს. გამგეობა ამ მასალებს, საგანგებო შუამდგომლობასთან ერთად, მთავრობას წარუდგენს.

### მთავრობის დაწესებულებანი

◆ აგრონომი გ. გ. დალაქიშვილი, რომელიც თბ. გუბერნატორის რწმუნებულად არის დანიშნული კავკავის ოლქში ფქვილის შესაძენათ, იტყობინება, რომ იგი ამ ჟამად კავკავში ჰკრებს ცნობებს სიმინდის რაოდენობის შესახებ. როგორც მისთვის გადუციათ, კავკავის ახლო მახლო მოაპოება 16 მილიონ ფუთამდე თეთრი და წითელი სიმინდი. ფასებიც ამ დღეებში გადაწყვეტილა: თეთრზე 1 მან. წითელზე 1 მან. 10 კ. სადგურზე ჩაბარებით, მხოლოდ ეს ფასები ჯერ არ არის დამტკიცებული მინისტრისაგან. ხალხი თუმცა ამ ფასებს ცოტაობს, მაგრამ ბედს ურიგდებიან და მაინც ჰყიდიან; მაგრამ თუ მინისტრმა ამ გადაწყვეტილ ფასებს დაუკლო,

მაშინ ეს 16 მილიონი ფუთი სიმინდი და მეტიც, როგორც სხვა სანოვაგე, შეიძლება სუმთლად ჩაიყლაპოს. ეჭვი არ არის, იწერება ბ-ნი დალაქიშვილი, თუ ეხლა ადვილია შოვნა აქ სიმინდისა, ახლო მომავალში ძალიან გაძნელდებაო. დასასრულ, ბ-ნი დალაქიშვილი წინადადებას იძლევა, კარგი იქნება, ჩვენმა კოოპერატივებმა და სხვა საზოგადო დაწესებულებათ ეხლავე გასწიონ თადარიგი და შეისყიდონ სიმინდი დღევანდელ ფასებში შეიძლება ბ-ნ დალაქიშვილსაც დაავალონ ეს საქმე. მისამართი: Владикавказъ, хлѣбъ армія. ან Екатеринодаръ хлѣбъ армія.

**თანამდებობებზე დანიშვნა.** ზუგდიდის მომრიგებელი შუამავალი თ-დი ფალავა სამსახურიდან გადადგა. მისადგილზე დაინიშნა ზუგდიდის სამხედრო ბეგრის საკრებულოს მდივანი ბ. შელია.

— სიღნაღის სამხედრო ბეგრის საკრებულოს მდივანი ბ. ტყემალაძე გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან. მის ადგილზე დაინიშნა ამავე საკრებულოს მოხელე ბ. ნანობაშვილი.

— ბეითალი გ. მრევლიშვილი 1 გიორგობისთვიდან განთავისუფლებულ იქმნა ახალქალაქის სამაზრო ბეითლობისაგან.

— გორის მაზრის უნცროსი თანაშემწე თ-დი ანდრონიკაშვილი უფროს თანაშემწედ დაინიშნა ბ. ფლამანის ნაცვლად, ხოლო თ-დ ანდრონიკაშვილის ადგილზე დაინიშნა გორის სამაზრო გამგეობის მოხელე თ-დი აბხაზი.

**სოლქოს სასამართლოს** პირველ ნაწილის სესია გაემგზავრა გორს, ხოლო მეორე დუშეთს. პირველ ნაწილის სხდომები გასტანს 13 გიორგობისთვემდე, ხოლო მეორე ნაწილისა 11 ამ თვემდე.

**ნიხრის დამტკიცება.** თბ. გუბერნატორმა დაამტკიცა ნიხრი პირველ საჭიროების საგნებზე. 100 ცალი კვერცხი, თანახმად ნიხრისა, 6 მანეთის ნაცვლად დაინიშნა 5 მანეთად. ფრანგული ფუნთუშა 8 კ ნაცვლად 7 კაპეიკად.

### სომეხთა შორის.

**ცენტრალ კომიტეტს** ატყობინებენ ხნის-მუშის რაიონიდან, რომ იქ მისულა 33 ლტოლვილი, რომელთაც თბილი ტანისაცმელი არ გააჩნიათ. კომიტეტმა განკარგულება მოახდინა დაუყოვნებლივ გაიგზავნოს თბილი სამოსლები. იმავე კომიტეტს ატყობინებენ, რომ ოხმალეთში 13 სომეხი ჩამოახრჩესო.

**ძმ. ბოზარჯიანცებმა** ყოველწლიურად 3000 მანეთი აღუთქვეს სომეხთა დრამატიულ საზოგადოებას სხვა და სხვა ხარჯების გასაძღოლად.

### სხვა და სხვა ამბები.

**მოსავალი.** მევენახეობისა და მეღვინეობის თბ. საგუბერნიო კომიტეტის მთავარი ინსტრუქტორი მ. ი. ქურთიშვილი ატყობინებს, რომ ყურძნის მოსავალი დუშეთ-გორის მაზრაში შუათანაა, რადგან უგოგირდობის გამო ნაცარმა წაახდინა ვენახები. ამავე მაზრებში ომმა, მართალია, ძალიან შეაფერხა მუშაობა, მაგრამ ხალხი ამერიკულ ვაზის მუშაობას ძალიან მისდევს. პურის მოსავალი ს. ახალქალაქსა და მის ახლო-მახლო მშვენიერია, სიმინდისა კი ძალიან ნაკლები უავდრობის გამო. კოდი პური ამ ჟამად ფასობს 12—15 მან., ქერი—9—11 მან., ხოლო სიმინდი 8—10 მანეთი.

**ნიხრი ნავთ ბენზინზე.** თბ. გუბერნატორმა აქციზის შემოღების გამო მოუმატა ფუთ ნავთზე 30 კ.; ხოლო ბენზინზე 70 კ.

**დილის წარმოდგენა.** კვირას, 13 გიორგობისთვეს, თბილისის ქართულ დრამატიულ დასის მიერ ახალ კლუბის შენობაში წარმოდგენილი იქნება „პატარა კახი“. პიესაში მონაწილეობას იღებს მთელი დასი. წარმოდგენა დაიწყება დილით 12 საათზე. ადგილების ფასი დაკლებულია, ბილეთები იყიდება ამ თავითვე თეატრის კასაში.

**ოთხშაბათს** 9 გიორგობისთვეს ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

**სასოფლო სამეურნეო აღწერილობა ქუთაისის გუბერნიაში.** საგუბერნიო აგრონომს უკვე დაუმთავრებია სასოფ. სამეურნეო აღწერილობა ქუთაისის გუბერნიაში და შეუდგენია მთელი ცხრილი ამ აღწერილობისა. როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, მცხოვრებთა რიცხვი ამ გუბერნიაში (გარდა ქ. ქ. ქუთაისის, სოხუმის და ფოთოზურგეთისა) უდრის 807.245. ამ რიცხვიდან მამაკაცთა რიცხვი 377969 სული. ხოლო დედაკაცთა 429283 სული, ასე რომ დედაკაცები 51321 სულით სჭარბობენ მამაკაცთ. ცოცხალ საქონლის რაოდენობაა: ცხენი 17518, სახედარი 415, ჯორი 296, ცხვარი 85400, თხა 49672, ღორი 186442, კამეჩი 16437, მსხვილფეხი საქონელი 373271. ნათესობა უდრის 151,576 დესეტინას. ეს ცნობები შეკრეფილია ქუთაისის, შორაპნის, ზუგდიდის, სენაკისა, ოზურგეთის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებში.

**ახალი გაზეთი რუსულ ენაზე.** თბ. გუბერნატორმა ნება დართო ვ. ვ. ვოლიანსკის ყოველდღიური გაზეთი „კავკაზსკაია ზარია“ გამოსცეს თბილისში რუსულ ენაზე.

**სავაჭრო მეორე სკომერციო** სკოლის საბჭოს თავმჯდომარეს თბ. გუბერნატორმა ნება დართო საარტისტო საზ. თეატრში ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ წარმოდგენა გამართოს.

**უკარტოფილობა.** 7 ამა თვეს ქალაქის თვითმართველობის აგენტებმა თათრის მოედანზე გააჩერეს ჩამოტანილი კარტოფილი, წონით 300 ფუთამდე და მცხოვრებლებს მიჰყიდეს თითო ფუთი.

**პეტროგრადის ქართველთა ახალშენის** ეკლესიის მღვდლად განწესებულ იქმნა ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარი მამა იოსებ ჩიჯავაძე.

**თ. დ. ჟორდანიას** სულის მოსახსენებლად მიტროპოლიტმა პიტირიმმა, მღ. იოსებ ჩიჯავაძის თანამსახურებით, პანაშვიდი გადაიხადა პეტროგრადში სამიტროპოლიტო ლავრაში. პანაშვიდს დაესწრო პეტროგრადში მყოფი ქართველობა.

**ოქმი.** მე-5 საპოლიციო უბნის ქალაქის თვითმართველობის აგენტმა ბიკოვჩენკომ ოქმი შეუდგინა მეძღვე ლუპულოვის ქალს, რომელიც თითო ტოლჩა რძეს აბაზზე ნაკლებ არ ჰყიდდა.

**თავ. დ. ერ. ჩოლოყაშვილი,** თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი, 15 გიორგობისთვემდე დაბრუნდება თბილისში. იგი, როგორც საგანგებო მოხელე მეფის ნაცვლისა და ომიანობისაგან დაზარალებულთა ხვედრისათვის მზრუნველ კავკასიის მთავარ კომიტეტის გამგე, 6 ამა თვიდან მოსკოვში მონაწილეობას ღებულობს ყველა ისეთსავე კომიტეტების წარმომადგენელთა კრებაზე.

**უნახშირობა.** 7 ამა თვეს ვორონცოვის ქუჩაზე ქალაქის თვითმართველობის აგენტებმა გააჩერეს ბორჩალოს მაზრიდან ჩამოტანილი 2 ურემი ნახშირი, წონით 200 ფუთამდე, და მცხოვრებთ მიჰყიდეს ოც-ოცი გირვანქა ნიხრის კვალობაზე.

**შუამდგომლობა.** დაჭრილ ჯარისკაცების მომვლელი თბილისის ქალაქის კომიტეტი სთხოვს ქალაქთა კავშირის განყოფილებას 500,000 მანეთს ვალების გასასტუმრებლად და ლაზარეთების მიმდინარე ხარჯების გასაძღოლად.

**სურამის სამკურნალო საავადმყოფოს** ბედი უკვე გადაწყდა სურამის სასარგებლოდ. მთავრობის წარმომადგენელნი უკვე მოურიგდნენ ადგილობრივ მემამულეს ბ-ნ როსტომ ჩიკვაიძეს, რომელმაც დაუთმო მიწები $7^1/_2$ ათას მანეთით ნაკლებ. გუშინ საგანგებო დეპუტაცია წარუდგა წითელ ჯვრის მთავარ რწმუნებულს ბ-ნ გოლუბევს შალიბაშვილის მეთაურობით და მადლობა მოახსენა სურამელთა მხრივ. ბ-ნ გოლუბევმაც მიულოცა სურამის სასარგებლოდ ასეთ დიად საკითხის გადაწყვეტა და თანაც განუცხადა, რომ ზაფხულამდის დროებით ფარდულებში 400 სულ ავადმყოფს მოვათავსებთო, ხოლო ზაფხულიდან საკუთარ შენობის აგებას შევუდგებითო.

**უნავთობა.** გუშინ, 8 გიორგობისთვეს, ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა დაიბარა მენავთეები და შეეკითხა, თუ რატომ არ აქვთ ნავთი. მენავთეებმა განუცხადეს, რომ 4 ღვინობისთვის თარიღით 100 ვაგონის „ნარიადები“ გვაქვს მოცემული, მაგრამ ვაგონების მიღებას ვერ ვღირსეთო. ბაქოში განკარგულება მოახდინეს, რომ ნავთი მოეცათ ჩვენთვის მცხეთის აუზებიდან, მაგრამ მცხეთაში უარი გვითხრესო. ბ-ნმა ხატისოვმა განაცხადა, რომ მეფის ნაცვლის თანაშემწეს თავ. არლოვს განმეორებით ვსთხოვ, რომ მცხეთის ბაკებიდან დაგვითმონ ნავთიო.

### ოზურგეთი.

6 გიორგობისთვეს დილით, საათის 11-ზე, ბზვანში, სამეურნეო სკოლის მახლობლად, ბუჩქნარში იპოვეს დანით მოკლული ადამიანი. მიცვალებული აღმოჩნდა გურიანთის მცხოვრები, ვინმე [illegible]. მკვლელს მსხვერპლი 18 ალაგას დაეჭრა სახარაზო დანით. არავინ იცის, ვინ ჩაიდინა ასეთი საზიზღარი მკვლელობა. გამოძიება სწარმოებს.

### გორი.

პარასკევს, 11 ნოემბერს, თბილისის ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ ი. ზარდალიშვილის გამგეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ენძელისა „ზღვასთან“.

## † დ. ვ. ხიზანაშვილი

ხოჯივანქის სასაფლაოს და რკინის გზის ლიანდაგ შუა პოლიციამ აღმოაჩინა ვერაგულად მოკლულ თბ. მეოთხე ნაწილის სასამართლოს ბოქაულის დავით ვასილის ძის ხიზანაშვილის გვამი, სულ მთლად გაშიშვლებული, პერანგის ამარა. გვამს 13 ჭრილობა აღმოაჩნდა. ეტყობა, განსვენებული ჯერ სხვაგან მოუკლავთ და მერე ამ ალაგას მიუტანიათ. ფიქრობენ, მტრობით არის მოკლულიო. განსვენებული დიდ ილიას გაზეთ „ივერიაში“ და შემდეგ სხვა დანარჩენ ქართულ პერიოდულ გამოცემებში ათავსებდა ფრიად საგულისხმიერო წერილებს, როგორც მთიელთა, ისე ჩვენ სადღეისო საჭირ-ბოროტო საკითხების შესახებ. მან, როგორც ფშაველმა, შეაგროვა და „ივერიისავე“ რედაქციის საფასით გამოსცა, მოზრდილ წიგნად, ფშაური ხალხური ლექსები, რომელიც დიდ განძს შეადგენს ჩვენ ზეპირ სიტყვაობაში.

დაწვრილებით ნეკროლოგს შემდეგ №-ში მოვათავსებთ.

## მიტროპოლიტი პიტირიმი

### და საქართველოს ეკლესიის სახელით კვერთხის მირთმევა

ღვინობისთვის 31 მიტროპოლიტ პიტირიმს საქართველოს წარმომადგენელთ მიართვეს სამწყემსმთავრო კვერთხი, სრულიად საქართველოს ეკლესიის მადლიერობის ნიშნად.

დაესწრნენ: სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. აფხაზი, იმერეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. დ. ნიჟარაძე, გენერ.-ლ. თ-დი ვ. ვაჩნაძე, კამერგერი თ-დი დ. ჩოლოყაშვილი, გენერ.-მაიორი თ-დი ივ. ნაკაშიძე, თ-დი ორბელიანი, თ-დი დადეშქელიანი, თ-დი რატიშვილი, თ-დი ერისთავი, თ-დი ავალიშვილი, თ-დი ქობულაშვილი, ალ. ჯ. ქორქია, ნ. პ. იოსელიანი, აკ. მ. ხოშტარია, პ. ნ. ჩიქოვანი. თვით კვერთხის მირთმევის დროს მოვიდა სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი თ-დი ნ. დ. ჟავახიშვილი.

სახელმწიფო საბჭოს წევრმა თ-დ აფხაზიმ კვერთხი ხელში დაიჭირა და მოახსენა განსასვენებელიდან გამოსულ მიტროპოლიტს პიტირიმს: „ჩვენ, საქართველოს მადლიერნი ძენი, თქვენის ბრწყინვალე სამსახურის სახსოვრათ უმორჩილესადა გთხოვთ ივერიის ეკლესიის ძეთაგან მიიღოთ ეს მცირე ძღვენი“.

მისმა მეუფებამ კვერთხი ჩამოართვა და დაახლოვებით ასე უპასუხა: „ერთმა ღმერთმა უწყის, რამდენი ტანჯვა გავიცადე ამ უკანასკნელ წელიწადს. უნდა მოგახსენოთ, რომ შვებას მხოლოთ მაშინა ვგრძნობდი, როცა ივერიის ეკლესიას მოვიგონებდი ხოლმე. მთელი საუკუნეა საქართველოს ვერ ეღირსა განხორციელება თვისთა მისწრაფებათა, გარნა იმავთავითვე ერთგულია ხელმწიფესი და ამ ჟამათაც თვისთა საუკეთესო ძეთა სიცოცხლეს რუსის ხალხთან ერთად სწირავს, რადგან ეს ხალხი უყვარს. ქართველთა ხასიათის განსაკუთრებული თვისება რამ არის უკეთეს მომავალის მოლოდინში ჭმუნვას სიხარულიც შეუერთონ. ბედნიერი ვიქმნები, როცა გავიგონებ, რომ ბედნიერია საქართველო და ბედნიერ არიან ძენი მისნი. ჩემი მუდმივი სწრაფვაა—ივერიის ეკლესიას სიკეთე ვუყო, გარნა ხშირად ბევრი რამ ჩემზე არ არის დამოკიდებული. მომავალ ბედნიერების იმედი ვიქონიოთ და ვიმუშაოთ. ვინ უწყის გზანი განგებისანი! შეიძლება მე თვით მომიხდეს ჩემი ძვლები დავასაფლავო ჩემ ძვირფას საქართველოში, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის წილხდომილ ქვეყანაში“.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა მხნედ იყო. საერთოთ ეტყობა, რომ მორჩენის გზას ადგას.

## თევდორე ჟორდანიას განსვენება

### სამძიმრის დეპეშები

**პეტროგრადი:** ქართული სამეცნიერო წრე თვისს ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დაუმაშვრალ მუშაკის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალების გამო. უზომოა განსვენებულის ღვაწლი საქართველოს წარსულის გამოკვლევის საქმეში.

—

**სარატოვი:** ვგლოვობთ საქართველოს ისტორიის დაუღალავ მკვლევრის თ. ჟორდანიას გარდაცვალებას.

**უნივერსიტეტის ქარ. სტუდენტები.**

—

**ფოთი:** მამაშვილურის ტირილითა ვსტირი დაუვიწყარ მასწავლებელს, სამშობლოს წარსულის იშვიათს მცოდნეს და მათაყვანებელს თევდორე ჟორდანიას.

**დეკ. მელიტონ კელენჯერიძე.**

—

**მეჯვრისხევი** (გორ. მაზრა): ვგლოვობ ძვირფას მასწავლებლის და სამშობლო ისტორიის უებრო მუშაკის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას.

**კეთილმოწესე მღვ. ს. გამრეკელი.**

—

**ზუგდიდი.** ზუგდიდის საზოგადოება ჰგლოვობს ისტორიკოსის და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალების [illegible] გადახდა პანაშვიდი. [illegible] ლენ ვედრებას სასუფეველი დაუმკვიდროს მისს სულს და მრავალტანჯულ ივერიას განსვენებულის მსგავსი მუშაკი არ მოაკლოს.

**დეკანოზი ექვ. შენგელაია.**

—

**კასპი.** კასპის საზოგადოება ჰგლოვობს მსწავლულ ისტორიკოსის და არქეოლოგოსის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას. გადავიხადეთ პანაშვიდი. მივუსამძიმრებთ მის ოჯახს.

**გოგობერიძე, ჯიბლაძე, რატიშვილი, ამილახვარი.**

## ქალაქის საბჭო

### 7 გიორგობისთვე.

კრება დაიწყო ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით ღამის $8^1/_2$ საათზე.

**ხმ. ქსავერიევი** ეკითხება გამგეობას: რა მიზეზია, რომ თბილისში ნავთი აღარ იშოვება და მცხოვრებლები ერთ უბნიდან მეორეში გარბიან ჭურჭლებიანათ ნავთის საძებნელად? თუ რომელიმე საწყობში აღმოჩნდა ნავთი, სახელი აწყდება და მთელი საათობით ელოდებიან 1—2 გირ. ნავთის ყიდვას და ბევრი სრულებით ხელცარიელიც ბრუნდება. რამდენიმე უბანი და ბევრი ხალხი, კანსაკუთრებით ღარიბ უბნებში, ღამ-ღამობით წყვდიადით არის მოცული, ვინაიდან არც ქუჩებია განათებული და არც ბინები. გამგეობა ხმარობს რაიმე ღონისძიებას ასეთ მოვლენის თავიდან ასაშორებლად თუ არა?

თავმჯდომარე **ხატისოვი.** პირველ გიორგობისთვიდან ნავთს უნაწილებს ყველა ქალაქებს საგანგებო კომიტეტი, რომელიც პეტროგრადში იმყოფება, ხოლო ამ კომიტეტს ნავთის რაოდენობის შესახებ ცნობებს აწოდებს მისი განყოფილება, რომელიც როსტოში იმყოფება. ამ რიგად, მოთხოვნილების დაკმაყოფილებამ რამდენიმე საფეხური უნდა გაიაროს და ასეთმა წესმა პირველ ხანად საქმე შეაფერხა. ამას ისიც ზედ დაერთო, რომ მენავთეები ფასის მომატებას თხოულობენ და რადგან ეს ჯერ შეუძლებელი დარჩა, ნავთს აღარ ეზიდებიან. ამას ისიც ზედ დაერთო, რომ ცისტერნები ცოტაა და ყველას მოთხოვნილების დაკმაყოფილებას დროზე ვერ ასწრობს. მაგრამ მე ვიშუამდგომლეო,—განაცხადა ბ-ნმა ხატისოვმა,—მეფის ნაცვლის თანაშემწის თავ. არლოვის წინაშე, რომ ყოველ დღე 7.000 ფუთი ნავთი გვაძლიონ მცხეთის აუზებიდან და შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია, ასე რომ ამის შემდეგ, ნავთი საკმაოდ გვექნება.

**ხმ. ალდადანოვის** შეკითხვის გამო, საბჭოს წინა კრებაზე, შესახებ იმისა, რომ საქალაქო სკოლებს შეშა არ ეძლევათ, გამგეობის წევრმა ბ-ნმა ათა-

## ფეხი იბრუნა

### (მოთხრობა) *)

ესე ლა დაგვრჩა სანაცვლოდ
იმ იმედისა დიდისა.

### 13.

მზე რომ გადიხარა, მეეტლემ მოახსენა:

— ეხლა კი წავიდეთ, ბატონო, თორემ ძალიან დაგვიანდება. მთვარიანი ღამე კი არის, მაგრამ ხევხუვში სიარული მაინც ძნელი იქნება.

— წავიდეთ, წავიდეთ! აბა, ქალო, შეემზადენით და ვახსენოთ ღმერთი, მიჰმართა პეტრემ თავის ცოლს.

— არა, ბატონო, თქვენი წასვლა ეხლა არ ეგების, ყოვლად შეუძლებელია! როგორ იქნება ისე წაბრძანდეთ აქედან, რომ ჩემს სახლში ერთი ღამე არ გაათენოთ, ჩემი მეკომურობა არ გაიცნოთ,—სთხოვა პორფირემ პეტრეს.

— გთხოვთ პატივი გვცეთ და მობრძანდით ჩვენს ოჯახში. მართალია, თქვენ საკადრისად ვერ დაგხვდებით, მაგრამ მაინც ვეცდებით სათანადოთ მოგასვენოთ და სიამოვნებით გაგატარებინოთ დრო,—სთხოვა დიასახლისამ პეტრეს ჯალაბს.

სტუმრები ცოტახანს შეყოყმანდნენ და მერმე დასთანხმდნენ, რადგან მართლა და უხერხული იქნებოდა პატივი არ ეცათ მეგობარი კაცისათვის, მის ჭერ ქვეშ პური არ გაეტეხათ, მისი მოსახლეობა არ გაეცნოთ. გულში არც უნდოდა პეტრეს ეხლავე დაბრუნებულიყო: პორფირეს ქალი თვალში მოუვიდა მას სასძლოდ და რომ გაითვალისწინა გარემოებები, თავის, სასარგებლოდ დაინახა ეხლავე მაგრა ჩაეკიდნა ხელი საქმისათვის; ადრე გადაედგა გაბედული ნაბიჯი, სინამ პორფირეანი მუშტრის თვალით დააკვირდებოდნენ მის შვილს და იწვრილებდნენ მის ამბებს. ეშინოდა გამოცდილ მოხელეს, პორფირეანთ არ შეეგნოთ ნამდვილი ფასი მისის ვაჟისა. მაშინ უთუოდ უკან დადგებოდნენ ისინი და ლადიკოს აქაც ხელიდან გაუვარდებოდა ლუკმა პოხილი, როგორც ქალაქშიც რამდენჯერმე მოუვიდა მას ესეთი მარცხი.

ჩავიდნენ პორფირესას, ჩაი აივანზედ მიირთვეს. მთვარიანი ღამე იყო წყნარი და ადამიანს იტყუებდა იგი ბუნების კალთაზედ, ოცნებათა მორევს უხატავდა თვალწინ, ზურმუხტის ნავები, რომ დაცურავენ ზედ. ახალგაზდები ჩავიდნენ აივანიდან და დაიწყეს სეირნობა ფართო ეზოში. ხეებ ქვეშ მთვარის შუქს ფოთოლთა ჩრდილებით მოეკარგა მდელო. ახალნორჩნი შეეფარნენ მსხლის ტოტებს და ქალის თმებზედ აციაგდა ნაკვეთნაკვეთი ნათელი მთვარისა. ვაჟს ერთობ მოუნდა ეხლავე შეჰხებოდა ქალის თმას მაინც და, რა ნახა, რომ აივანი და მასზედ ნაყოფნი აღარა ჩანდნენ იქიდან, მიჰმართა:

— დაიცათ, ქალო, რაღაცა ფარვანა დაგჯდომიათ თმაზედ!

და წაატანა ხელი, მითომ პეპელას გადასაგდებად. ქალი ჯერ ვერ მიუხვდა ეშმაკობას, მაგრამ მალე იგრძნო, რომ აქ ფარვანას ბრალი არა ჰქონდა არავითარი. იმითი მიჰხვდა ქალი ამას, რომ ვაჟის ხელი ღრმად ჩაესვა მას თმაში და დიდხანსაც, მანამ საჭირო იქნებოდა რაღაცა ჭიის ასაყვანად. არ ეწყინა ეს ეზოში მოსულ ქალწულს, კიდეც უამა ჭაბუკის მიერ თვის თმათა რხევა და მეამეტად შეჩერდა იგი. ვაჟკაცი აალელვა ამ შეხებამ, ნდომის ალმა აულანძა მას ხორცები და მან მსწრაფლ შეახო ხელი ამოკოკრებულ ძუძუზედ, რომ ქალიც ვნების ალში გაეხვივნა. ვერ მიჰხვდა წადილს! წრფელად აღზრდილმა ქალწულმა იუცხოვა ვაჟის ესეთი დაურიდებლობა, იუკადრისა, რომ ჭაბუკს ჯერ სიყვარულზედ არაფერი ეთქვა, არ განეცხადებინა მისთვის სურვილი მეუღლობისა და ესე კადნიერად კი მოეპყრო მას. უკუდგა მაშინვე, გაბრუნდა სახლისკენ. გაწბილებული დატოვა ვაჟკაცი. დროც იყო შინათკენ წასვლისა: დიასახლისა შეშფოთდა, როცა ქალ-ვაჟი თვალთაგან მიეფარნენ და ის იყო წამოდგა, რომ დაეხედნა მათი გზა-კვალისათვის. ამ შემთხვევამ გადამწყვეტი გავლენა იქონია მთლად უთმინო ლადიკოზედ: ის იმ ღამესვე მოელაპარაკა თავის დედმამას.

— ქალი მომწონს და თუ მართლა ისეთი მდიდარია, როგორიც ხმა აქვს, შევირთავ. თქვენვე მოელაპარაკეთ მაგის დედმამას, თორემ თითონ ქალი როგორღაც ველურივით იქცევა, ადამიანს ახლო არ გაიკარებს.

ლადიკოს ის ეწყინა, რომ ვიღაცა სოფლელი ქალი პირველ ნახვაზედვე მთლად არ მოიხიბლა მისი ვაჟკაცურის სიმშვენიერით, პირდაპირ არ ემონა მას, შეუბრძოლებლივ, ყოველ პირობათა გარეშე და ისიც მაშინ, როდესაც მან მის წინაშე უკლებლივ შეასრულა როლი შეყვარებული რაინდისა. ამის შემდეგ ჩქარის ნაბიჯით წავიდა საქმის ვითარება: სურვილთა გამჟღავნება, ფულზედ თუ მზითევზედ მოლაპარაკება, თანხმობის განცხადება, ბეჯგანიშანი, ქალ-ვაჟის საერთო დაახლოვება, ახალი მძახლების ერთმანეთში მისლა-მოსვლა და ზღვნობა. ჯვარი ნამარიამობევს დასწერეს. უნდოდათ შემოდგომაზედ მოეწყოთ ქორწილი, რთვლების შემდეგ, მაგრამ ვაჟის ერთობ თამამმა ქცევამ და ქალის ძლიერმა გატაცებამ შიში დაჰბადა პორფირეანთ სახლში და ამიტომ დააჩქარეს ყველაფერი. სოფლური ქორწილი გადაიხადეს ფართე და უხვი. დიდძალი ხალხი დაეცა თავს პორფირეანთ. გულსავსე მხიარულობა იყო, შვება უჩრდილო. არავითარი ხინჯი არ სჩანდა ახალი ნათესავების ურთიერთობაში. ქორწილს არ დაესწრო მხოლოდ მახარე. გულმოკლული იყო ჭაბუკი, ბედის მომდურავი; ვერ გასძლებდა ქორწილში ყოფას, თავის ფეფიკოს სხვის კერძად მზერას. რაღაცა მოიმიზეზა და წინა დღეს თელიანში წავიდა. იქ დარჩა, მანამ ქორწილი თავს გადიყარეს. ფეფიკომ შენიშნა მახარეს იქ არ ყოფნა, მიჰხვდა ამის ნამდვილ მიზეზს, ერთს წამს კიდეც დაენანა კარგი მეზობელი, მაგრამ სავსებით სავსე იყო ეხლა ის სიხარულით და მსწრაფლ მიეფარა მის გონების თვალთაგან მახარეს სახე დაღონებული.

მძახლებმა დაასკვნეს, ქალი ჯერ ისევ მამის სახლში დამრჩალიყო, რადგან საგარაკოდ დაქირავებული ბინა არც ისე ფართე იყო, რომ თავისუფლად მოთავსებულიყვნენ იქ ახალი ჯვარდაწერილებიც. ქალის მზითევიც ჯერ არ იყო ისე დამთავრებული, რომ ეხლავე შეეკრათ ყველაფერი და გაესტუმრებინათ. ლადიკო სიმამრისას დარჩა: საცა მისი საუნჯე იყო, მისი გულიც, მთლად იქიც, იქ უნდა ყოფილიყო. ძალიან ისიამოვნა ვაჟკაცმა ამ ხნის განმავლობაში.

— შენ, ჩემო ლადიკო, ეხლა მიაღწიე შენს წადილს! გამთქვალებული გოგო გულუბრყვილოდ შეყვარებული, თავისუფალი სახლ-კარი და ეზო-ყური, თავსაყრელი სასმელ-საჭმელი, ყველასაგან ალერსი და საპატიოდ დაჭერა, ჯიბე-უბე შრიალა ქაღალდით თუ ჩხრიალა ოქრო-ვერცხლით სავსე. ჩექმივით გაყრია, სვესრული, ყოველგვარი სინოყივრე და სხვა რაღა გინდა?! იხარებდი და იშვებდი უხვად მონიჭებულ კეთილსა ზედან!—ეტყოდა ლადიკო თავის თავს.

და ქეიფობდა, განისვენებდა, განცხრებოდა სიძე—ბატონი; იშვებდა სიყვარულით გარშემორტყმული; ბატონობასა თამაშობდა არაისცენაზედ და საჩვენებლად, არამედ ცხოვრებაში და ნამდვილად. ბატონობას რა დიდი ქირი უნდა: სჯდოდე და სთქოდეო, ხოლო აქ ლადიკოს თქმაც კი აღარა სჭირდებოდა, უთქმელად მიილტოდა მისკენ ნივთიერი კეთილი დალოცვილი. მაგრამ ამ ქვეყნად ხომ არაფერია სავსებით სრული და მთლად უნაკლო. სიძე—ბატონის ზეიმსაც აკლდა მცირე რამ ნირი. ჯერ ის რადა ღირდა, რომ მეტი ხნობით მოუნდა რაღაცა სიდინჯე და თავდაჭერილობა: არ შეიძლებოდა აქ ყველა აფრების აშვება; გარდა ამისა ბანქოსათვის ხელები ჰქონდა მას, ჯიბეუბეც ფულებით გატენილი ასქდებოდა, თამაში კი არ შეიძლებოდა, გატაცებით თამაშობა. ვის გაეთამაშებოდა ამ ტყე-მინდორში, სადაც ბრალიანს თუ უბრალოს ქედი წაეხარნა ლალა კამეჩისავით და შეუქანებლად მუშაობდა. თუნდაც შემთხვევით შეჰხვედროდა საფერი ამფსონი, ჯერ მაინც დრო არ იყო, თავის ზნე-ჩვეულების დარდიმანდულად გადაშლისა.

— იცი, შვილო, უკვე ცოლიანი კაცი ხარ, შენი თავი აწ შენ გაბარია, მაგრამ მაინც მოვალედა ვრაცხ ჩემს თავს მოგაგონო: უფრთხილდი შენი უზნეო ზნე არ განავითარო აქ და ეხლავე არ შეაკრთო ეს საწყალი ხალხი!—უთხრა მამამ

და ისეთ ნაირად დაემშვიდობა, თითქო სამუდამოდ მოსპო მასთან კავშირი თუ დამოკიდებულობა. ამ სიტყვებმა ჩააფიქრეს ლადიკო და მეტადრე იმან, რომ დედამაც დასძინა:

— ჩვენ ეხლა ჩვენი მოვალეობა მოვიხადეთ შენ წინაშე, ახლა შენ იცი და შენმა ახალმა გზამ.

— ალბათა ჰგონიათ, რომ ეხლა მათთან საერთო აღარა მაქვს რა და აღარც არაფერს მოვთხოვ მათ,—გაიფიქრა ლადიკომ

და უსიამოვნოდ დაეღარა სახე, ბოროტი რამ ნაპერწკლები აღეგზნენ თვალებში სხვის ულუფაზედ თუ სხვის კალთაში ხაჩვევ ვაჟკაცს.

**ვ. ბარნოვი.**

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „საქართველო“ № 249.

ზეგოვმა განაცხადა, რომ ერთი მოიჯარადრე მზად არის განსაზღვრულ ფასებში საკმაო შეშა მიაწოდოს სასწავლებლებს, მაგრამ იმ პირობით, თუ გამგეობა ვაგონებს უშოვის. ამის გამო ეხლა გამგეობა ცდილობს ვაგონების „ნარიადები“ უშოვნოს იმ მოიჯარადრესო.

შემდეგ კრება შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას.

დაკმაყოფილებულ იქმნა გარდაცვლილ მეონკანის ს. სალაყაიას ოჯახობის შუამდგომლობა და ერთდროულ დახმარების სახით გადაიდვა მის სასარგებლოდ 194 მან.

საგანგებო კომისიაში, რომელსაც დავალებული აქვს წყლით უზრუნველ ჰყოს ქალაქი, აქამდისინ ირიცხებოდა 9 წევრი. ეხლა, ამ კომისიის თავმჯდომარის ხმ. ლუნკევიჩის წინადადების თანახმად, საბჭომ კიდევ 6 კაცი მიუმატა კომისიას: ბ.ბ. შ. მესხიშვილი ალ. ლომთათიძე, ი. დოლუხანოვი, ხუნუნცი, ქსავერიევი და პ. გოთუა.

შემდეგ საბჭომ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, დაადგინა საქალაქო მამულების მოიჯარადრეთ ნაძალადევსა და ლოდკის გორაზე ამ მამულების საკუთრებად შესყიდვის ვადათ დაენიშნოსთ 3 წელიწადი ომის გათავების შემდეგ.

შემდეგ განხილულ იქმნა ავლაბრის გიმნაზიის სამზრუნველოს შუამდგომლობა: ვინაიდან გიმნაზიას დეფიციტი მოელის, ქალაქმა ან 7.200 მანეთი მისცეს მას ერთდროულად და ან ნება დართოს, რომ სწავლის ფული გადიდდეს 40-დან 60 მანეთამდე გიმნაზიის დაბალ კლასებშიაც, ე. ი. პირველიდან მეექსე კლასამდე.

შუამდგომლობა არ შეიწყნარა საბჭომ, რადგან ქალაქი ყოველწლობით აძლევს გიმნაზიას 25.000 მანეთს, ხოლო სწავლის ფულის გადიდება უკიდურეს ღონისძიებად მიიჩნია.

## ქართული ენის მდგომარეობა ქ. სასულიერო სასწავლებელში

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, განსაკუთრებით იმერეთის სამღვდელოებისათვის, ფას დაუდებელი სასწავლებელია. ამ სამღვდელოების ნივთიერად შეუძლო შვილები ყველანი ამ სასწავლებელში იზრდებოდნენ და დღესაც იზრდებიან. ძველ დროში ამ სასწავლებელმა ბევრი კარგი მწიგნობარი, საღვთო წერილისა და ქართულ ენის მცოდნე პირი შესძინა დასავლეთ საქართველოს.

დღეს კი ეს სასწავლებელი დაკნინდა, დაჩიავდა, სწავლის საქმე იმ ზომამდე დაეცა, რომ ამ სასწავლებელში კურს დასრულებულები საშუალო სასწავლებლების პირველ კლასებშიაც ვერ იჭერენ გამოცდას. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ამ ჟამად ყველაზე მეტად ქართული ენა არის ცუდ დღეში. ამ სასწავლებელში კურსდასრულებულებმა თუ შესაფერისად მაინც, ჩვენი დედა ენა არ იციან, ისე იმერეთის სამღვდელოებისა და ქართველი ერისათვის სრულიად უხმარნი არიან. ის მოვალეობა, აქ კურს-დამთავრებულებს რომ ეკისრებათ, ქართული ენის კარგად ცოდნას ითხოულობს და ისინი კი, ჩვენდა საუბედუროდ, ამ ენის ცოდნაში ორივე ფეხით კოჭლობენ. ამის მიზეზი უმთავრესად რიგიან, შეგნებულ და ქართულ ენის ზედ-მიწევნით მცოდნე მასწავლებლის უყოლობა იყო. მართალია, დრო გამოშვებით ჰყავდა ხოლმე ამ სასწავლებელს კარგი და შეგნებული მასწავლებელი, მაგრამ მათ თავის მასწავლებლობის მოკლე ჟამს სულ რუს ზედამხედველებთან უხდებოდათ ბრძოლა ღ დაკისრებულ მოვალეობაში გამბედაობას და ინიციატორობას ვერ იჩენდნენ. ჩვენთაგანს არავის ახსოვს, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ქართული სალიტერატურო, ან სალამო, ან დილა ან და უბრალო ლექსთა კითხვა გამართულიყო. ჩვენი შვილები მუნჯები შედიან და მუნჯებივე გამოდიან ამ სასწავლებლიდან.

განჩვენებული ლუკიანოვის შემდეგ, რომელიც მარად ჟამს დამცირებას განიცდიდა სასწავლებლის რუს უფროსისაგან, გვეგონა, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩვენი ქვეყნის მოყვარული და ქართულ ენის ზედმიწევნით თუ არა, კარგი მცოდნე მასწავლებელი მაინც დაინიშნებოდა. ამის ნიშნები ნათლად სჩანდა. ყოვლად სამღვდელო გიორგიც დიდათ მოწადინებული იყო ღირსეული პირი მოეძებნნა ქართულ ენის მასწავლებლად, მაგრამ არ დააცალეს მიხედმოხედვა და ისე, ჯერ გაცივებულიც არ იყო განსვენებული ლუკიანოვი, რომ უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან ქართული ენის მასწავლებლის დანიშვნის შესახებ ბრძანება მოვიდა.

დიდათ საინტერესოა ვიცოდეთ, ვის უფრო შეეძლო რიგიანი ქართული ენის მასწავლებლის გამონახვა: ყოვლად სამღვდელო გიორგის, რომელიც ქართველ საზოგადოებაში მოღვაწეობს აგერ ნახევარი საუკუნეა, თუ უმაღლეს სასულიერო მთავრობას?! რუსის ბიუროკრატიამ ის თუ იცის, რომ ყველა რუსს, რუსული ენის სწავლება არ შეუძლია, ნუ თუ ის არ იცის, რომ არც ყველა ქართველს შეუძლია ქართული ენის სწავლება?! იცის, და ძრიელ კარგადაც იცის, მაგრამ მისთვის ხელსაყრელი ის არის, რომ დონკიხოტები განაგებდენ ქართულ ენის სწავლების საქმეს.

ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს იმერეთის სამღვდელოების მომავალმა კრებამ და ქართულ ენის კარგი მცოდნე მასწავლებლის დანიშვნა უნდა მოითხოვოს.

**მ. ბუაჩიძე.**

## წერილი სამეგრელოდან

(მცირე შენიშვნა უმაღლეს პირველდაწყებითი სკოლების გახსნაზე ჩვენში)

მთავრობას თვისი განზრახვა სოფლებში უმაღლეს პირველ-დაწყებითი სკოლების გახსნის შესახებ თანდათან მოჰყავს სისრულეში და უკვე იხსნება ასეთი სკოლები აქა-იქ.

რასაკვირველია, ეს სკოლები უნაკლულო არ არის; მათი პროგრამები არ არის შეფარდებული ჩვენის ცხოვრების საჭიროებებთან; ეს სკოლები ჩვენს მოზარდ თაობას სააგრონომიო და სატეხნიკო ცოდნას არ აძლევს, ესეთი ცოდნა კი ასე საჭიროა ჩვენის სამეურნეო ქვეყნისთვის. ამ სკოლებში არ ვხედავთ არც იმ პრინციპის განხორციელებას, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში გადასასვლელ საფეხურად, რადგანაც შიგ ახალს ენებს არ ასწავლიან, ჯერ-ჯერობით მაინც.

ყველა ამ ნაკლულევანებათა მიუხედავად, სკოლების გახსნას მაინც სიხარულით უნდა მივეგებოთ, მაგრამ არ ყოფილა და არც მოსალოდნელია, რომ ჩვენთვის ჩვენმა ქირისუფლებმა რაიმე კეთილი საქმე გაიმეტონ და განახორციელონ იგი, საჭიროების დამიხედვით, სამართლიანის გზით: უწინარეს ყოვლისა, როცა სამოსწავლო მთავრობამ შეიმუშავა სია, თუ სად და რომელ სოფლებში გახსნილიყო ეს სკოლები, სოფლის საზოგადოებათა შორის მეტოქეობა დაჰბადა: ვინც მეტს გაიღებდა სკოლის შესანახად, სკოლაც იქ გაიხსნებოდა. საჭიროება სკოლისა ყველგან არის. მაგრამ ნათქვამია—ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო, და, რასაკვირველია, ღარიბ სოფლებმა იმდენი შემწეობის აღმოჩენა ვერ შეიძლეს, რამდენიც მდიდრებმა; ამიტომაც, სკოლების გასახსნელ პუნქტებად ყველა მდიდარი და შეძლებული სოფლები აღინიშნა, ხოლო ღარიბი და მივარდნილი სოფლები გარიყულნი დარჩა. მაგალითად, ზუგდიდის მაზრაში სოფლის საზოგადოებათა მთელი რიგი: კორცხელი, ჭკადუაში, ლია, ფახულანი, ჭალე, ჯვარი, ჯგალი, რომელნიც მთა-გორიან სამეგრელოში მდებარეობენ, სრულიად უყურადღებოდ არიან დატოვებულნი, ხოლო ზუგდიდის მაზრის სამხრეთ ნაწილში, სადაც დაფნის ფოთლით გამდიდრებული სოფლები მდებარეობს, თითქმის ყოველ საზოგადოებაში განზრახულია უმაღლესი პირველ-დაწყებითი სკოლის გახსნა.

აი, მაგალითად, გასულ ენკენისთვეში გაიხსნა ხსენებული ტიპის სკოლა ს. ხეთაში, ხოლო ამ ღვინობისთვეში გახსნილა იქვე მეზობელ სოფელ ცაცხვში. ჯერ ხეთაში არ იყო საკმაო რიცხვი მოწაფეთა და ცაცხვში კი საიდან გააჩენენ, არ ვიცი!

ასე თუ გაჰყვენ, ზუგდიდ-სენაკის გზაზე გამწკრივდება მაზრაში გასახსნელად განზრახული ყველა ის 7—8 სკოლა და მთელ ზემო სამეგრელოს ერთიც არ ეღირსება.

ამას არ სჯობდა, რომ ერთი ამ ახალ სკოლებთაგანი ზემო სამეგრელოში გაეხსნათ, სადაც, შეიძლება, დაფნის ფოთოლი და ფული არ არის, მაგრამ ჰაერი, წყალი და ბუნება საუცხოოადა საცხოვრებლადაც შეუდარებელი ციებ-ცხელებიან და ჭაობიან ხეთასადა ხორგასთან.

მივაქცევთ ამ უკუღმართ გარემოებას ჩვენი მთავრობის ყურადღებას და მოვაგონებთ, რომ საჭიროა მომავალში მაინც ცოტა გადავუხვიოთ ფართო შარა-გზებს, რომლებიც ასე მცირეა ჩვენში, და შევიხედოთ ღარიბ და მივარდნილ სოფლებშიაც, სადაც სამკალი ბევრია და მომკელი კი არავინ“. სწორედ იქ არის საჭირო ახალი სკოლები, თორემ, ვინც მდიდარია, სხვაგანაც კი წაიყვანს შვილებს ადსაზრდელად.

**ავი.**

## ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგ. 1915 წლის ანგარიში

(გაგრძელება).

9) **ზუგდიდის** სკოლა დაარსდა 1915 წლის 8 მარტს. ეს არის პირველი ქართული სკოლა სამეგრელოში, ამიტომაც ზუგდიდის ნცხოვრებნი მეტის ყურადღებით და სიყვარულით ეკიდებიან მას. დაარსების დღესვე სკოლაში გამოცხადდა 22 მოსწავლე. წლის დამლევს სკოლაში იყო 40 მოწაფე. სკოლა საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგებლობაშია და იგივე ინახავს; მთავარი გამგეობა მხოლოდ მასწავლებელს აძლევს ჯამაგირს. მთავარმა გამგეობამ საანგარიშო წელს დაახარჯა სკოლას 300 მან., ხოლო განყოფილებამ 767 მ. 70 კ.

10) **თელავის** სკოლა დაარსა ადგილობრივმა განყოფილებამ 1911 წლის ენკენისთვეში. სკოლას განაგებს განყოფილების გამგეობის სასკოლო სექცია, 4 კაცისაგან შემდგარი. წარსულ სამოსწავლო წელში სკოლაში იყო 4 განყოფილება 3 მასწავლებლით და ამავე წელს პირველად დაასრულეს ბავშვებმა სკოლა: სწავლა-აღზრდის საქმე სამაგალითოდ არის დაყენებული. სკოლის გამგის ნინო გოგნიაშვილის წყალობით სკოლას აქვს პატარა სასკოლო მუზეუმი, რომელშიაც ძლიერ ბევრი ნივთია თვალსაჩინო სწავლებისათვის საჭირო. სკოლას სავსებით ინახავს ადგილობრივი განყოფილება, რომელმაც 1915 წელს დაახარჯა მას 2318 მან.

11) **კავკავის** სკოლა დაარსდა 1888 წელს. სკოლას ინახავს იქაური განყოფილება წერა-კითხვის საზოგადოებისა. სკოლას აქვს 40 ათას მანეთად ღირებული საკუთარი სახლი, რომელიც შესდგება 18 ოთახისაგან. გარდა სკოლისა ამ შენობაში მოთავსებულია: ეკკლესია, ბიბლიოთეკა, სათეატრო დარბაზი, საკრედიტო ამხანაგობა, სახელსაქმო სკოლა და მასწავლებელთა ბინა. წარსულ სამოსწავლო წელს სკოლაში სწავლა მოგვიანებით დაიწყო, რადგან სკოლის შენობაში ჯარი იყო ჩაყენებული და არც მასწავლებლები იყვნენ გამწესებული სრულად. წლის განმავლობაში სწავლა სწარმოებდა სულ 15 დღეს. სწავლობდა 166 მოწაფე: 103 ვაჟი და 63 ქალი. წლის განმავლობაში სხვა და სხვა მიზეზის გამო სკოლას თავი გაანება 20 მოწაფემ. წლის გასულს სასწავლებელში იყო 146 ბავშვი. ამ რიცხვიდან გადავიდა შემდეგ კლასებში 109. საანგარიშო წელს განყოფილებამ დახარჯა სკოლას 5740 მ. 58 კაპ., ხოლო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მისცა ჯამაგირი ერთ მასწავლებელს 400 მან.

12) **ნავთლუღის** სკოლა დაარსდა 1909 წელს. წარსულ სამოსწავლო წელს სკოლაში სწავლის დაწყებისას შევიდა 46 ბავშვი, მაგრამ წლის ბოლომდე სკოლას შერჩა მხოლოდ 34 ბავშვი. სკოლასთან არსებობს ხელსაქმის განყოფილება, სადაც სკოლის მოსწავლეების გარდა ხელსაქმეს სწავლობენ მოზრდილი ქალებიც. 1915 წლის განმავლობაში სკოლაზე დაიხარჯა 867 მან. 65 კაპ. აქედან 500 მანეთი იხარჯება ქალაქის კასიდან, ხოლო 367 მან. 65 კაპ. საზოგადოების საშუალებიდან. სასკოლო სექციის აზრით, ეს სკოლა უნდა გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას და წერა-კითხვის საზოგადოების საშუალება კი მოხმარდეს სოფლის საჭიროებას.

13) **ნალჩიკის** (თერგის ოლქი) სკოლა დაარსდა 1915 წელს გადახვეწილ ქართველებისათვის, სკოლამ მოქმედება დაიწყო 1 აპრილიდან, მას ინახავს ადგილობრივი ქართველთა ახალშენი საზოგადოების მთავარ გამგეობის დახმარებით. სკოლა დაქირავებულ სახლშია მოთავსებული; იქვე არის მასწავლებლის ბინა და პატარა სამკითხველო. იმ თავითვე სკოლაში გამოცხადდა 35 მოსწავლე. 1915 წ. სკოლაზე დაიხარჯა 1.511 მან. ამ ფულიდან მთავარი გამგეობისა იყო 440 მან., დანარჩენი 1071 მანეთი ადგილობრივმა ქართველებმა გაიღეს, ნალჩიკის ქართველებს სკოლა საკუთარ შვილივით უყვართ, ამიტომ არავითარ ხარჯს არ ერიდებიან სკოლის წარმატებისათვის. არ მოიპოვება იქ ისეთი მოსახლე, რომელიც წელიწადში 10—25 მანეთს არ იხდიდს სკოლის სასარგებლოდ. უკვე გადაწყვეტილია, საკუთარი კარგი შენობა აუგონ სკოლას.

14) **ნუკრიანის** (სიღნაღის მაზრა) სკოლა 1915 წლის იანვარში დაარსა წერა-კითხვის სიღნაღის განყოფილებამ და თითონვე ინახავს. მასწავლებელსაც თითონვე იწვევს. სწავლის დაწყების დღეს სკოლაში გამოცხადდა 36 ბავშვი. ნახევარი წლის შემდეგ სკოლას აუარებელი ბავშვები მიაწყდნენ და საჭირო დარჩა მეორე მასწავლებლის მიწვევა. საანგარიშო წელს სკოლაზე დაეხარჯა განყოფილებას 1.223 მანეთი.

15) **ხაგურამის** სკოლა დაარსდა 1908 წლის გასულს სოფ. გურამიანთკარში, ილია ჭავჭავაძის სახელზე. თავდაპირველად სკოლა მოთავსებული იყო ილიასეულ სასახლეში, მაგრამ, სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო, ბავშვებს ძალიან უძნელდებოდათ იქ სიარული. ამის გამო 1913—1915 სამოსწავლო წლის დასაწყისში სკოლა გადატანილ იქმნა შიგ სოფელში და მოთავსდა ნაქირავებ სახლში, რომელიც სრულებით ვერ აკმაყოფილებს სკოლის უბრალო მოთხოვნილებასაც. სწავლის დაწყებისათანავე სკოლაში გამოცხადდა 25 ბავშვი (20 ქალი და 5 ვაჟი). ზამთარში მოწაფეთა რიცხვი 30-მდე ავიდა. წლის განმავლობაში საზოგადოებამ დახარჯა ამ სკოლაზე 793 მან. 39 კ.

16) **სოხუმის** სკოლა დაარსდა 1910 წელს. ინახავს წერა-კითხვის ადგილობრივი განყოფილება. 1914 წლის 17 ღვინობისთვიდან სოხუმის სკოლის ვითარება ომიანობის გამო აირია. იმ დროს სოხუმიდან ხალხი გაიხიზნა და, სხვათა შორის, სკოლის შემადგენლობაც. იმავე წლის გიორგობისთვეში ხალხი დაუბრუნდა სოხუმს და ჩვენს სკოლაშიაც თან და თან იწყეს დენა მოსწავლეებმა, ასე რომ იანვარში სკოლა შემსებული იყო, მაგრამ 14 მარტსმთავრობის განკარგულებით ყველა სასწავლებლებიდამ მოსწავლენი დაითხოვეს და, მათ შორის, ჩვენი სკოლიდანაც ამ რიგად ხსენებულ სამოსწავლო წელს პროგრამა არც ერთ კლასში არ გაუვლიათ სავსებით. ვინაიდან ომიანობის გამო სოხუმში ერთობ აირივ-დაირია საქმე და საზოგადოების განყოფილებას არარავითარი სახსარი არ მოეპოვებოდა სკოლის შესანახად, მთავარმა გამგეობამ აესხა მას 2400 მანეთი. სკოლა საკუთარ შენობაშია მოთავსებული, მაგრამ შენობა ჯერ არაა სულ დამთავრებული და მის დამთავრებას 10 ათას მანეთზე მეტი სჭირდება.

17) **ყალამშის** (ბორჩალოს მაზრა) სკოლა დაარსდა 1904 წელს. სკოლით ორი სოფელი სარგებლობს: ყალამშა და მეჯა. ყალამშაში ითვლება 60 კომლი ქართველი, მეჯაში-კი 55. სკოლას საკუთარი შენობა აქვს, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას 2.000 მან. დაუჯდა. სკოლის აშენებაში თითონ სოფლებიც დაეხმარნენ საზოგადოებას, რითაც-კი შეეძლოთ. საანგარიშო წელს სწავლა დაიწყო 6 ღვინობისთვეს. გამოცხადდა სკოლაში 42 ბავშვი. ამათგან წლის გასულს 40 ბავშვი დარჩა. სკოლაში 3 განყოფილება იყო, ამას გარდა, პირველ განყოფილებაში სხვა და სხვა დროს მისულ ბავშვებს არევ-დარევა შეჰქონდათ და ამიტომ მასწავლებელს ხშირად ოთხ ჯგუფთან უხდებოდა ხოლმე მეცადინეობა. საკვირველი არ არის, რომ ასეთ პირობებში სწავლება დიდ ნაყოფს ვერ გამოიღებდა. საქმეს კიდევ უფრო ინანაც შეუშალა ხელი, რომ აპრილის პირველიდან მასწავლებელი ჯარში გაიწვიეს და სკოლა უმასწავლებლოდ დარჩა. საზოგადოებამ დახარჯა სკოლაზე წლის განმავლობაში 578 მან. 25 კაპ. შეშას და მსახურს სოფელი აძლევდა. სკოლის შენობის გაფართოება უთუოდ საჭიროა, რათა მეორე მასწავლებელსაც, რომელიც მიწვეული უნდა იქნეს, ბინა დაურჩეს.

18) **შრომის** სკოლა დაარსდა 1913 წლის იანვრის პირველ რიცხვებში. ეს სკოლა ემსახურება ორ სოფელს—შრომასა და კავშირს (სიღნაღის მაზრა). პირველ სოფელში სცხოვრობს 120 კომლი, მეორეში 50. შრომა დასახლებულია ქიზიყელებით, კავშირი იმერლებით. სკოლას დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან სოფლელები, განსაკუთრებით კავშირელები. სხვა სკოლებში საზოგადოება თითონ აძლევს ბავშვებს სასწავლო წიგნებს და სხვა ნივთებს, მაგრამ მაინც ნაკლებად დადიან სკოლაში, აქ კი გლეხები თითონვე ყიდულობენ ყოველგვარ საჭირო სამოსწავლო ნივთებს და ბავშვებსაც დიდის ხალისით გზავნიან სკოლაში. წარსულ სამოსწავლო წელს სკოლაში 90 ბავშვი გამოცხადდა. სკოლაში 2 მასწავლებელია და ორივენი დიდის ბეჯითობით აწარმოებენ სწავლა-აღზრდის საქმეს. 1915 წლის განმავლობაში წერა-კითხვის საზოგადოებამ დახარჯა ამ სკოლაზე 1.137 მან. 59 კაპ. სახლი, მსახური და შეშა სოფლისაა. სახლი, რომელშიაც სკოლაა მოთავსებული, სხვა დანიშნულებისათვის იყო აშენებული, ამიტომ იგი შეუფერებელია სკოლისათვის. სოფლებს გადაწყვეტილი აქვთ შესაფერისი სახლი აუშენონ სკოლას.

19) **წინარეხის** (გორის მაზრა) სკოლა 1882 წელს დაარსდა. სკოლას საკუთარი შენობა აქვს. სოფელი აძლევს სკოლას მსახურსა და შეშას, დანარჩენ ხარჯებს საზოგადოება უძღვება. 1915 წელს საზოგადოებამ დახარჯა სკოლაზე 670 მანეთი. სკოლის ოთხივე განყოფილებაში ასწავლიდა ერთი მასწავლებელი.

საანგარიშო სამოსწავლო წელს დაიხურა ფოთის ქართული სკოლა, რომელსაც ინახავდა წერა-კითხვის ფოთის განყოფილება. ამის მიზეზი იყო, რომ 1914 წლის ღვინობისთვეში „გებენმა“ რომ ფოთს ყუმბარები დაუშინა, მაშინ სხვებთან ერთად სკოლის მასწავლებლები და მოსწავლენიც გაიხიზნენ სხვაგან. შემდეგ ფოთში მშვიდობიანობა ჩამოვარდა და ხალხი თავის საქმეს დაუბრუნდა, მაგრამ ფოთის განყოფილებამ სკოლის განახლება ველარ მოახერხა.

(შემდეგი იქნება).

## ქართულ ტერმინების შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ქართულ სკოლის შექმნის იდეამ სრულიად ბუნებრივათ სახელმძღვანელოთა შედგენის საჭიროება წარმოშვა. ამ სახელმძღვანელოთა შესადგენათ ცალკე კომისიაც კი არის დანიშნული და ამ კომისიას გარედან კერძო პირებიც ეხმარებიან. ამ მუშაობის უმთავრეს სიძნელეს ტერმინების შედგენა წარმოადგენს. უკვე დღესაც ბევრი სხვა და სხვა ტერმინია გამოგონილი სხვა და სხვა ცნების გამოსახატავათ. ზოგი ტერმინი მოხერხებულია, კარგი და უთუოდ უნდა დარჩეს, ზოგიც გამოუსადეგარი: უეჭველია, ეს გარემოება ამ ახალ საქმეს აჰრევს, შეაფერხებს და გზა-კვალს აუბნევს როგორც იმას, ვინც ამ საქმეში თვისის წვლილის შეტანას მოისურვებს, აგრეთვე იმასაც, ვინც ამ წიგნებისა და სახელმძღვანელოთა საშუალებით თვით საგანი უნდა შეისწავლოს, ამას კი მეტის-მეტად სამწუხარო შედეგი მოჰყვება.

რომ ეს სამწუხარო შედეგი თავიდან ავიცილოთ და ტერმინების საქმე ერთხელ და სამუდამოთ მოწესრიგდეს, საჭიროა ერთს რომელსამე ორგანოს მიენიჭოს დამკანონებელის უფლება. ამ აზრით უნდა შესდგეს კოლეგიუმი, აკადემიის მსგავსი რამ დაწესებულება. ამ დაწესებულების დაუდასტურებლათ ამა თუ იმ სახელმძღვანელოს ავტორმა არ უნდა იხმაროს ესა თუ ის ტერმინი. [illegible] წ. კ. გ. საზ[illegible] უნდა იკისროს.

ორიოდ სიტყვაც იმ ტერმინების შესახებ, რომელთაც საერთაშორისო უფლება მოუპოვებიათ და ყველა ევროპიულ ენაზე ერთნაირად იხმარება. უხამსად თარგმნას ისა სჯობია, ეს ტერმინები უცვლელად გადმოვიღოთ.

**ს.—დიანი.**

## შემოწირულება

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „საქართველოს“ საშუალებით ულრმესი მადლობა ვუძღვნა სამშობლოზე დიდის მანძილით მოშორებულს, მაგრამ სამშობლოს კულტურულ წინმსვლელობით დაინტერესებულ ახალ გაზრდა ექიმს მიხეილ მიხეილის ძე ასათიანს, რომელმაც ს. მაღაროს (ქიზიყში) სამკითხველოს შემოსწირა ოცდა ხუთი მანეთი (25 მ.).

წრის მონდობილობით

**ევგ. მჭედლიშვილი.**

—

გაახლებთ საპრაპორშჩიკო სკოლაში ახლად კურს დამთავრებულ ამხანაგთა შორის უცხოეთში მყოფ ქართველ ტყვეთა სასარგებლოთ შეკრებილს ფულს და გთხოვთ გამოაცხადოთ შემომწირველთა სია:

ერმ. მახარაშვილმა—3 მან., გიორ. ბაღდავაძემ და შატბერაშვილმა—ორორი მანეთი; ალ. კიკარეიშვილმა, იოს. წივწივაძემ, პოლ. რუხაძემ, ლევ. ფიფიამ, პეტრე ემუხვარმა, მინ. ჩხაკვაძემ, ფირანაშვილმა, ან. ჭინჭარაძემ, მ. დადიანმა და მ. ბიგვავამ—თითო მანეთი. სულ 17 მანეთი.

ამხანაგთა მონდობილობით

**პრაპ. გ ბაღდავაძე.**

—

რედაქციამ მიიღო შემოწირულება პეტრე ბეჟანის ძე ესიავასაგან ერთი მანეთი ქართულ მოღვაწეთა აგარაკის სასარგებლოთ.

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია ახალი ამბავი მოწერილი ახალციხიდან, უნდა იყოს ახალხენაკიდან.

რედაქტორ-გამომცემელი

**ხანდრო შანშიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, 8 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 6 „ | 24 „ | საღ. |

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძაძუნოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ეშმეშმიანი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.